ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 22 სექტემბერი 2004 №220 (2241) ფასი 50 თეთრი




გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## თორდია და მოსეშვილი თბილავიაკალათბურთს აშენებენ

ქართულ კალათბურთში დიდი ავიაცია ბრუნდება. დღეს „თბილავიამშენად" წოდებულ 31-ე ქარხანას ადრეც ჰყავდა გუნდი საქართველოს ჩემპიონატში და საკმაოდ სიმპათიურიც, მაგრამ ეს გუნდი, „შევარდენი" წლების წინ დაიშალა. ქარხნის დირექტორ პანტიკო თორდიას ძველი „შევარდენი" ალბათ კარგად არც დავიწყებია, ახლა კი ახლის აშენება გადაუწყვეტია. სახელის მოსაგონებლად დიდი ფიქრი საჭიროც არ გახდა – „თბილავიამშენის" გუნდი მე-14 ეროვნულ ჩემპიონატში „თბილავიამშენის" სახელით ჩაებმება.

ახალგამომცხვარი გუნდის მთავარი მწვრთნელი კი, არც ის, არც ეს, თავად ლევან მოსეშვილი იქნება, რომელმაც პანტიკო თორდიასგან უკვე მიიღო შემადგენლობის შეკრების დასტური და უკვე „თბილავიამშენში" დაიგულა ვეტერანი დავით თორთლაძე. მოსეშვილს ასევე სურს, ძველი შეგირდი ირაკლი ხოშტარიაც იხილოს თავისთან. გადაწყდა ისიც, რომ მოსეშვილს „თბილავიამშენის" გაწვრთნაში დაეხმარება უხსოვარი დროიდან მისი თანაშემწე ვაჟა მხეიძე.

## რას იზამს ეს ვილაც?





REUTERS მადრიდიდან

## რეალმა ახალ მწვრთნელს ულვაში არ შეარცხვინა: 1:0 ოსასუნასთან

## რომაული სამართალი 0:3



## უეფამ რომას ფრისკის გატეხილ შუბლზე თავი არწყევინა

იმთავითვე ცხადი იყო, რომ უეფას სადისციპლინო კომიტეტი ორიდან ერთ ვარიანტს ამოირჩევდა: კიევის „დინამოსთვის" კარგს ან კიევის „დინამოსთვის" ძალიან კარგს. გუშინ უეფამ ძალიან კარგი ვარიანტი ამჯობინა, რაც კიეველთა სიყვარულზე მეტად „რომას" უმკაცრესად დასჯის სურვილით იყო ნაკარნახევი.

მიხვდებოდით, რომ საქმე ჩემპიონთა ლიგაში „რომა" — „დინამოს" მატჩისას მომხდარ ინციდენტს ეხება. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე, როცა „დინამო" 1:0 იგებდა, არბიტრმა ანდერს ფრისკმა რომაელი მექსეში გააძევა, ტრიბუნიდან კი სამაგიეროდ რაღაც საგანი ესროლეს, რამაც შუბლი გაუხეთქა. თამაში აღარც გაგრძელებულა.

აღარც გაგრძელდება, რაკი თავში ნახსენები კიეველთათვის საუკეთესო ვარიანტი სწორედ ამას ნიშნავს: „დინამოს" 3:0 მოგება ჩაეთვალა.

სადინამოო საქმე ამით მორჩა, „რომას" კი სხვა სასჯელიც დაემატა — მომდევნო ორ საშინაო მატჩს ცარიელ „ოლიმპიკოზე" ჩაატარებს, მექსეშმაც ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

თუ სურვილი გაუჩნდებოდათ, რომაელებს უეფას სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება 24 სექტემბრამდე შეეძლოთ გაესაჩივრებინათ, მაგრამ მათ ამაზე უარი თქვეს.

# ქინქლაძე ანართოსისს გაეცნო და კბილიც მოუსინჯა



31 წლის გიორგი ქინქლაძე რომ კვიპროსზეა და შესაძლოა, იქ განაახლოს თამაში, წინა „სარბიელშიც" გაუწყეთ. გუშინ კი ქინქლაძეს ფამაგუსტაში შევეხმიანეთ, რომლის გუნდიცაა „ანართოსისი". ბარემ იმასაც შეგახსენებთ, რომ „ანართოსისის" მოთამაშე მწვრთნელი თემურ ქეცბაია გახლავთ. კვიპროსის ჩემპიონატი ახალი დაწყებულია, ჯერ მხოლოდ ერთი ტურია ჩავლილი და სატრანსფერო ფანჯარაც ღიაა

— უკვე მეორე დღეა, ფამაგუსტაში ხარ — ახალი ხომ არაფერია?

— ახალი ისაა, რომ დღეს პირველად ვივარჯიშე „ანართოსისში".

— კლუბის ხელმძღვანელობასთან ხომ არ გილაპარაკია?

— არა, მაგრამ ეს უახლოეს დღეებში მოხდება.

— წელიწადზე მეტია, უთამაშებელი ხარ — როგორ ფიქრობ, რამდენ ხანში შეძლებ ფორმის აღდგენას?

— ამაზე სალაპარაკოდ ჯერ არაა შესაფერისი მომენტი, რადგან რა როგორ იქნება, ჯერ გაურკვეველია.

— პირველი ანართოსისული შთაბეჭდილება როგორია?

— ნორმალური, თუმც ჯერ ბევრიც არაფერი მინახავს აქ, მხოლოდ ვივარჯიშე.

— სიახლეებს შენი და „ანართოსისის" ურთიერთობის შესახებ როდის შევიტყობთ?

— ალბათ, ორ დღეში.

**დავით თავართქილაძე**

# თავი ახლაც თავშია

## რომ შეიძლებოდეს, გია მეგრელაძე დროს ბურთივით დაატრიალებდა

ოთხწლიანი შესვენების შემდეგ ქუთაისის „ტორპედოში" ისევ დადგა მეგრელაძის დრო. ყველას კარგად ახსოვს, როგორ ამარცხებდა „ტორპედო" მამა-შვილ მერაბ და გია მეგრელაძეების გოლებით მეტოქეებს, ახლა კი მშობლიურ გუნდს გია ეხმარება.

7 ტურში 6 გოლი ურიგო შედეგი არც ერთი თავდამსხმელისთვის არაა, მით უმეტეს სადებიუტო სეზონში. მართალია, უხერხულია, მეგრელაძეს დებიუტანტი ვუწოდოთ, მაგრამ არც ოთხწლიანი პაუზაა სახუმარო საქმე.

ერთი სიტყვით, გუშინ გია მეგრელაძეს შევეხმიანეთ და ანმყოს გარდა წარსულზეც ვესაუბრეთ...

— შვიდი ტურის მერე „ტორპედო" პირველ ადგილზეა და, ბუნებრივია, კმაყოფილი იქნები...

— სეზონის წინ ამის წარმოდგენაც არ შემეძლო. ნაღდად არ ველოდი, ასეთ შედეგს თუ მივაღწევდით, მით უმეტეს, ასეთი მოუმზადებელი გუნდით.

— ეს მოუმზადებლობა თანდათან ხომ არ იჩენს თავს?

— არანაირად. უფრო მოვუმატებთ.

— „სიონთან" ბოლო ტურის მატჩის მეორე ტაიმში ფიზიკურად ძალიან გაგიჭირდათ და მომავალ მატჩებში რისი იმედი გაქვს?

— შეკრება რომ არ გაგვივლია, რა თქმა უნდა, დიდი მინუსია, მაგრამ დანებებას არ ვაპირებთ. დარწმუნებული ვარ, მალე უკეთაც ავთამაშდებით.

— არ გინდა, რომ შესვენება მალე დადგეს?

— რატომ?

— ერთი შეკრების გავლას მაინც მოასწრებთ...

— არა მგონია, გუნდი ამაზე ფიქრობდეს. მე მგონი, თამაშ-თამაშ უფრო შევალთ ფორმაში.

— შენი აზრით, იმსახურებს „ტორპედო" პირველ ადგილს?

— რადგან პირველზე ვართ, ესე იგი, ვიმსახურებთ. მით უმეტეს, არაერთხელ ითქვა, მოუმზადებელი გუნდი რომ ვართ და ასეთ მდგომარეობაში ჩვენი შედეგი უფრო გემრიელია.

— საქართველოდან ოთხი წლის წინ წახვედი და როგორი დაგხვდა ჩვენი ჩემპიონატი?

— ადრე უფრო ძლიერი ჩემპიონატი გვქონდა. ახლანდელი დონე მაშინდელს ნაღდად ვერ შეედრება.

— პროგრესი საერთოდ ვერაფერში შენიშნე?

— ახლანდელი ახალგაზრდა თაობაა უფრო ნიჭიერი. ამ ბიჭებმა ასე თუ გააგრძელეს, ბევრს მიაღწევენ. ისიც მესიამოვნა, რომ ნაკრები შედეგიანად ათამაშდა.

— შვიდი ტურის მერე საუკეთესო ბომბარდირი თუ იქნებოდი, ელოდი?

— არა. მით უმეტეს, პირველ ტურში „ლოკომოტივთან" ვერ გავიტანე და იმედიც არ მქონდა, მომდევნო მატჩებში თუ შევძლებდი ამდენს.

— რატომ?

— ისევ და ისევ მოუმზადებლობის გამო.

— საქართველოდან წასვლით და საბერძნეთ-რუსეთის მეორე-მესამე ლიგებში თამაშით უფრო მეტი დაკარგე თუ შეიძინე?

— რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი დავკარგე.

— ესე იგი, დროის დაბრუნება რომ შეგეძლოს, იგივე ნაბიჯს არ გადადგამდი...

— არავითარ შემთხვევაში. რუსეთში კი მქონდა მომატების საშუალება, მაგრამ მაინც არ გადავდგამდი ამ ნაბიჯს.

— თვლი, რომ შენი კოზირი ახლაც თავით თამაშია?

— ალბათ კი. ყოველ შემთხვევაში, თავით ახლაც გამაქვს გოლები.

— სეზონის წინ თქვი, რომ „ტორპედოში" დეკემბრამდე ითამაშებდი. ახლაც იმავეს ფიქრობ?

— არ ვიცი, წინასწარ ძნელია ლაპარაკი. შეიძლება წავიდე, შეიძლება დავრჩე. ჯერ ამაზე არ ვფიქრობ.

**ბაჩა ზალამბერიძე**



# უეფას თასი 2004-2005




# ღვინობისთვეც ჩვენი იყოს

**სიკეთე თუ იქნა** და 30 სექტემბერს თბილისის „დინამომ" უეფას თასის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში კრაკოვული „ვისლა" დაამარცხა, შემოდგომაზე აქამდე საოცნებო დიდი ფეხბურთის მონაწილენი გავხდებით.

მოგეხსენებათ, უეფას თასი წლეულს ახალი ფორმატით ტარდება — ჯგუფური ეტაპი აქამდე მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაში და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე თუ გვინახავს.

მოკლედ, ხეზე სამჯერ ვაკაკუნებთ და ვამბობთ — „ვისლას" გავლის შემთხვევაში ქართველი გულშემატკივრის ყურადღება უეფას შტაბბინისკენ იქნება მიპყრობილი. საქმე ისაა, რომ 5 ოქტომბერს ნიონში უეფას თასის ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართება. წილისყრის ცერემონიალი ჩვენი დროით 14 საათზე დაიწყება.

ასე რომ, 30 სექტემბრამდე 5 ოქტომბრის იმედით.

### ჰოლანდია

**ამსტელის თასი. II ეტაპი**

აპელდორნი 0:2 ვიტესი
კამბური 0:2 ტელსტარი
გრააფსხაპი 0:4 იგლსი
ემენი 5:1 WHC
დორდრეხტი 6:1 კიკ ბოისი
სიტარდი 1:3 ჰერაკლესი
ისელმირფოგელსი 3:4 ვეენდამი
ლისე 1:2 ვოლენდამი
ვალვაიკი 1:0 ეინდჰოვენი
ოსი 4:2 ჰაარლემი
ვენლო 0:2 იონგ ფეიენოორდი
ტილბურგი 2:0 სპარტა

### ესპანეთი

**პრიმერადივიზიონი. IV ტური**

რეალი 1:0 ოსასუნა

### საფრანგეთი

**I დივიზიონი. VII ტური**

ტულუზი 0:2 ლიონი

**II დივიზიონი. IX ტური**

გრენობლი 2:1 ლე ავრი
ბრესტი 0:0 გენიონი
დიჟონი 2:2 კლერმონი
ლავალი 1:2 ნანსი
სედანი 1:2 ლე მანი

### პორტუგალია

**სუპერლიგა. III ტური**

ბრაგა 1:0 გიმარაეში

### შვეიცარია

**ჩელენჯლიგა. IX ტური**

კრინსი 3:1 იუვენტუსი

### შოტლანდია

**ლიგის თასი. 1/8 ფინალი**

სელტიკი 8:1 ფოლკირკი
დანდი იუნ. 4:0 კლაიდი
ლივინგსტონი 2:1დ.დ.(1:1) დანდი

### გერმანია

**თასის 1/16 ფინალი**

პადერბორნი 2:1 დუისბურგი
მიუნხენი 0:0(პენ.3:4) ტრირი
კარლსრუე 1:1დ.დ.(პენ.3:0,1:1) მაინცი
ნიურნბერგი 2:3დ.დ.(2:2) ალენი
ფრაიბურგი 3:2დ.დ.(2:2) ბოხუმი
კიოლნი (8) 2:4 არმინია
ოსნაბრიუკი 2:3 ბაიერნი

### ირლანდია

**პრემიერდივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ლონგფორდი — კორკ სიტი გადაიდო

### ინგლისი

**კონფერენსლიგა. IX ტური**

ბარნეტი 2:3 ბარტონი
ძონვი 2:2 ძროული
კარლაილი 2:1 სკარბორო
ფარნბორო 0:3 სტივენეიჯი
ფორესტ გრინი 2:3 ექსეტერი
გრეივსენდი 2:1 დაგენემი
ჰალიფაქსი 1:3 მორეკემბი
ჰერეფორდი 2:0 ალდერშოტი
ნორსვიჩი 3:3 აკრინგტონი
ტემუორთი 1:3 უოქინგი
იორკი 1:1 ლეი

**ლიგის თასი. I ეტაპი**

მენსფილდი 0:4 პრესტონი

**ლიგის თასი. II ეტაპი**

ბირმინგემი 3:1 ლინკოლნი
ბარნლი 1:1დ.დ.(პენ.4:2,1:1) ბულვზი
კოლჩესტერი 2:1დ.დ.(1:1) ვესტ ბრომვიჩი
ძრიუ 3:3დ.დ.(პენ.4:2,2:2) სანდერლენდი
დონკასტერი 2:0 იფსვიჩი
გრიმსბი 0:2 ჩარლტონი
ლიდსი 1:0 სუინდონი
მანჩესტერ სიტი 7:1 ბარნსლი
დონსი 1:4 კარდიფი
ნორვიჩი 1:0 როვერსი
ტრანმერი 0:1 პორტსმუთი
ვესტ ჰემი 3:2 ნოტსი
რედსები 2:3 შეფილდ იუნ.
იოვილი 0:2 ბოლტონი
კრ. პალასი 2:1დ.დ.(1:1) ჰარტლპული
რედინგი 0:3 უოტფორდი

### იტალია

**სერია B. III ტური**

არეცო 0:0 ასკოლი
კატანძარო 2:3 კატანია
ჩეზენა 1:1 ბარი
ემპოლი 1:1 ტერნანა
მოდენა 1:0 პიაჩენცა
პერუჯა 2:0 ტრევიზო
პესკარა 1:3 ალბინოლეფე
ტორინო 2:1 ჯენოა
ვენეცია 3:2 ვერონა
ვიჩენცა 3:2 კროტონე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს უმაღლესი ლიგა 16 ჩემპიონატი პირველი წრე 7 ტური

| | | |
|---|---|---|
| სიონი | 0:2 | ტორპედო |
| დინამო | 0:0 | ლოკომოტივი |
| ვიტ ჯორჯია | 0:2 | თბილისი |
| ბათუმი | 5:0 | ზესტაფონი |
| დილა | 2:0 | კოლხეთი |

ეროვნული ჩემპიონატის მეშვიდე ტურმა ორხელისუფლებიანობა გადააგდო. ამ სეზონში პირველად მოხდა, რომ „ტორპედო" და „დინამო" ერთმანეთს „დაშორდნენ". გაჭირვებულმა „ტორპედომ" „სიონის" ძლევით და „ლოკომოტივის" წაშველებით შეძლო ცხრილის თავში მოქცევა. ამ ტურის გამოსარჩევ ამბავთაგანია „თბილისის" მიერ ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას" ძლევა და მაჩანჩალა გორის „დილას" პირველი სამი ქულაც





ბაჩო კილასონიას ფოტო

# დინამოლოგი
## სვანაძემ გაასამა

ზაურ სვანაძე ის კაცია, ვის დამოძლვრილ „ლოკომოტივს" „დინამო" გოლს ვერ უტანს. სვანაძემ წინა სეზონის მეორე ეტაპისთვის ჩაიბარა გუნდი და მაშინ ივო შუშაკის „დინამოს" ორივეჯერ ნულოვანი ფრე გაუგორა.

მეთექვსმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეშვიდე ტურში კი სვანაძის „ლოკომოტივმა" გაასამა — გია გეგუჩაძის „დინამოსთანაც" ნულოვან ფრეს გამორჩა, თუმც მეტოქეზე უკეთ ითამაშა და მოგებაც შეეძლო.

ერთი სიტყვით, ზაურ სვანაძე თავისებურ დინამოლოგად იქცა — სამი თამაში, სამი ფრე და არცერთი გოლი.



ბაჩო კილასონიას ფოტო

## კვირკველიას ვიცე-ვიცეკაპიტნობა არ დასცალდა

დავით კვირკველიამ ნახევარ საათს ატარა თბილისის „დინამოს" კაპიტნის სამკლავური და მერე იძულებული გახდა, იგი ლადო ბურდულისთვის გადაელოცა.

გიორგი ნემსაძისა და გიორგი შაშიაშვილის არყოფნაში გუშინწინ გუნდი „ლოკომოტივთან" სათამაშოდ სწორედ დათო კვირკველიამ გაიყვანა, მაგრამ ეს ამბავი მისთვის ისე უიღბლოდ დასრულდა, როგორც ამ ფოტოზე ჩანს. კვირკველიამ 30-ე წუთზე კუნთი დაიჭიმა და შესაცვლელი შეიქნა.

როგორც „დინამოში" გვითხრეს, ვიცე-ვიცეკაპიტნის ტრავმა მთლად სერიოზული არ უნდა იყოს და „ვისლასთან" მატჩამდე ის ალბათ მომჯობინდება.

# გორი რვეულში ჩაეწერა
## ხორგუაშვილმა თავი შეიშინა

მეშვიდე ტურმა სატურნირო ცხრილში ერთი ნულიც გააქრო — ყველასაგან დაჩაგრულმა გორის „დილამ" პირველი სამი ქულა ჩაიწერა. გორელებმა მათსავით დაბეჩავებული ფოთის „კოლხეთი" 2:0 იმსხვერპლეს.

ისე გამოვიდა, რომ ზურაბ ხორგუაშვილმა წინა ტურში საკუთარი თავიც შეაშინა და ფეხბურთელებიც გამოაფხიზლა — „დილას" თავკაცი ხომ „ზესტაფონთან" წაგების მერე გადადგომას აპირებდა, მაგრამ... გორში უკვე მთავარ ამბად მერვე ადგილი ითვლება, რაც იქაურთათვის საუკეთესო მაჩვენებელია წლევანდელ სეზონში.

### სიმბოლური ნაკრები

სანდრო იაშვილი — თბილისი
გია მეგრელაძე — ტორპედო
მიხეილ ბოგოხიძე — ლოკომოტივი
შოთა ბაბუნაშვილი — ტორპედო
ილია კანდელაკი — დინამო
ზაზა ლაცაბიძე — ლოკომოტივი
ოთარ მარცვალაძე — ვიტ ჯორჯია
გიორგი ონიანი — ლოკომოტივი
დავით გამეზარდაშვილი — ტორპედო
როინ ონიანი — ლოკომოტივი
ბექა შეყრილაძე — თბილისი

გუნდი: თბილისი

მწვრთნელი: ზაურ სვანაძე

# იაშკას ზრახვები

ტურის საუკეთესო ფეხბურთელს „სარბიელი" არ ასახელებს ხოლმე, მაგრამ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე — მეშვიდე ტურის მთავარი კაცი 19 წლის სანდრო იაშვილი გახლდათ, ვისი დიდი შემწეობითაც „თბილისმა" სტუმრად მოუგო ჩემპიონს.



ბაჩო კილასონიას ფოტო

ვიტელი პავლე დათუნაიშვილი და თბილისელი სანდრო იაშვილი (№23) ემოციებს ასედაც ცლიდნენ

იაშკას სულ თავზე არა?! ფეხზე არ უნდა იაშკას?! ასეთნაირად გაბრაზდა სანდრო, როცა თანაგუნდელები პასებს სულ საჰაერო ორთაბრძოლებში აძლევდნენ და კარგი გადაცემა ხმელეთზეც მოენატრა. მაგრამ იაშვილი სხვა რამეზეცაა გაბრაზებული — სურს, ყველას დაუმტკიცოს, რომ „დინამოდან" გამოსაშვები არ იყო.

# ახალაია ვისლათი გაახსენდათ

მეშვიდე ტურში 22 წლის ლადო ახალაია ეროვნულ ჩემპიონატს და თბილისის „დინამოს" დაუბრუნდა. სეზონის დასაწყისში ახალაიას კოჭის ტრავმა აწუხებდა, მერე კი უბრალოდ აღარ აკარებდნენ „დინამოს" და უთხრეს, „დინამო 2"-ში ივარჯიშეო. „დინამოსგან" ახალაიასთვის ასეთი ხელის კვრა ყველასთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ „დინამოს" 30 სექტემბერს „ვისლასთან" ელის მატჩი და გუნდის მთავარ მწვრთნელ გია გეგუჩაძესაც, როგორც იქნა, დასჭირდა ნიჭიერი ახალაია.



ბაჩო კილასონიას ფოტო

თუმც ეს ფეხბურთელი ხანგრძლივი უთამაშებლობის გამო ჯერაც ვერაა ოპტიმალურ ფორმაში, რაც „ლოკომოტივთან" მატჩში კარგად გამოჩნდა. „ვისლამდე" დინამოელებს 25 სექტემბერს ელით მატჩი გორის „დილასთან", მაგრამ საკმარისი იქნება ეს საიმისოდ, რათა 30 სექტემბერს ისევ ის, ეფექტური ახალაია ვიხილოთ?



„ტორპედოს" ლიდერობა გია მეგრელაძის ბომბარდირობაზეც ჰკიდია

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 6-მეგრელაძე | ტორპედო |
| 4-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| მელქაძე | დინამო |
| კაკალაძე | დინამო |
| ოდიკაძე | თბილისი |
| გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| ჭელიძე | ბათუმი |
| 3-ზიზია | თბილისი |
| ხომერიკი | ბათუმი |
| მიქაძე | თბილისი |
| ბოგოხიძე | ლოკომოტივი |
| გონჩაროვი | დინამო |
| რუსია | სიონი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 7 | 6 | 1 | 0 | 13:1 | 19 |
| დინამო | 7 | 5 | 2 | 0 | 20:4 | 17 |
| თბილისი | 7 | 5 | 1 | 1 | 17:8 | 16 |
| ლოკომოტივი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:3 | 12 |
| ბათუმი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:6 | 11 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 3 | 1 | 3 | 12:12 | 10 |
| სიონი | 7 | 2 | 0 | 5 | 7:22 | 6 |
| დილა | 7 | 1 | 0 | 6 | 6:14 | 3 |
| კოლხეთი | 7 | 1 | 0 | 6 | 3:15 | 3 |
| ზესტაფონი | 7 | 1 | 0 | 6 | 5:20 | 3 |

### მომდევნო ტური

25 სექტემბერი, შაბათი

ლოკომოტივი – თბილისი

კოლხეთი – ბათუმი

ზესტაფონი – სიონი

დინამო – დილა

ტორპედო – ვიტ ჯორჯია

# რვა ნაწყვეტი ტკივილიდან

## ზოიძეს რჩევაღა დარჩა: შეტევა ცენტრიდან და სწრაფი გოლი

კრაკოვში, უეფას თასის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს“ წაგებული, მაგრამ კარგი თამაშის შემდეგ წარმატების მომლოდინე ქართველი ქომაგის კითხვა ერთია: ითამაშებს მეკარე ირაკლი ზოიძე 30 სექტემბერს „ვისლასთან“?

პასუხი, სამწუხაროდ, ასეთია: ვერ ითამაშებს! ირაკლი ზოიძეს კუნთი აქვს გაწყვეტილი და, სულ ცოტა, ერთი თვე უნდა იმკურნალოს.

ირაკლი გუნდს კრაკოვული მატჩის შესვენებაზე გამოაკლდა, გაუსაძლისმა ტკივილმა თამაში აღარ გააგრძელებინა...



მურად ალთუნაშვილის ფოტო

— სიმწრისგან ლამის ავცრემლდი. საშინელი ტკივილები მქონდა, თამაში კი არა, სიარულიც მიჭირდა. თბილისში რომ დავბრუნდით, მას შემდეგ ვწევარ. დღეს წამოვდექი და პირდაპირ ექიმებს მივაშურე — გვითხრა ირაკლი ზოიძემ, რომელსაც „დინამო“ — „ლოკომოტივის“ მატჩისას გავესაუბრეთ.

— დიაგნოზი როგორია? რა გითხრეს ექიმებმა?

— არ დაიჯერებთ, ბარძაყის კუნთი რვა ადგილასაა გაწყვეტილი.

— და ეგ ყველაფერი „ვისლასთან“ ერთმა ტაიმმა მოიტანა?

— არა, „ვისლასთან“ მატჩამდე ეს კუნთი ორი თვე მაწუხებდა, საფუძვლიანად მკურნალობა ვერ მოვახერხე და შედეგად ასეთი ტრავმა მივიღე. არ მინდოდა, გუნდს გამოვკლებოდი, ბიჭებთან ყოფნა და თამაში მსურდა. პერიოდულად ვმკურნალობდი ხოლმე, ერთი კვირა, ორი კვირა, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი მკურნალობა საკმარისი არ ყოფილა. ფეხი ჯერ კიდევ ბატესთან მატჩებამდე ამტკივდა, ყურადღება არ მიმიქცევია და მაინც ვთამაშობდი, კუნთი კი, ეტყობა, ნელ-ნელა წყდებოდა.

— „ვისლასთან“ მატჩის დაწყებამდეც გტკიოდა?

— მატჩამდე ვარჯიში სამი დღის დაწყებული მქონდა და თამაშამდე კუნთი ოდნავ მაინც მტკიოდა. მერე კი, საჯარიმოდან ბურთის ამოტანისას ტკივილი ნელ-ნელა მიძლიერდებოდა და ტაიმის ბოლო წუთზე, როცა ბურთს ერთხელაც დავარტყი, მოქნეული ფეხი გამიშეშდა, კიდევ კარგი, ტაიმიც მაშინვე დამთავრდა. სირბილს ვინ ჩივის, ველარც დავდიოდი.

— ბევრი ამბობს, რომ კრაკოვში „დინამოს“ სწორედ მეკარის შეცვლამ წააგებინა. შენ რას იტყვი?

— იმას ვიტყვი, რომ ზურაბ მამალაძემ კარგად ითამაშა და გაშვებული გოლებისას მისი გამტყუნება არ შეიძლება. წაგების მიზეზი სხვა იყო: მთლიანად გუნდმა ვერ გაუძლო გამოცდილი მეტოქის ზეწოლას. რა ვიცი, მე-60-65-ე წუთები ჩვენთვის, ეტყობა, ნავსიანი დროა.

— თუ გუნდმა ვერ ითამაშა, მთელი მატჩი ნავსიანი იქნება. შეგიძლია, სხვანაირად, უფრო კონკრეტულად თქვა, რატომ ითიშება „დინამო“ 60-დან 65-ე წუთამდე?

— ალბათ ფსიქოლოგიური მომენტია. გუნდი პირველ გოლს უშვებს და ირევა. გამოსაფხიზლებლად ორი-სამი წუთი გვჭირდება, მაგრამ სწორედ ამ ორ-სამ წუთში მეტოქე კიდევ უფრო აძლიერებს ზეწოლას და. ჩვენ დაბნეულები ვართ. გაიხსენეთ, პრაღაში, „სლავიასთანაც“ ზუსტად ასე იყო. არც ჩეხებმა, არც პოლონელებმა წუთით არ ამოგვასუნთქეს. თუმც ეს მეტოქის რა ბრალია, ჩვენი შეცდომები ჩვენივე გამოსასწორებელია. მეტოქე შეცდომას არ გაპატიებს. არადა, გაშვებული გოლების შემდეგაც თამაში, კარგად თამაში რომ შეგვიძლია, ცხადია. სხვანაირად, ბოლო 10-15 წუთს მეტოქეს ველარც შევუტევდით და თამაშს ყურებჩამოყრილები ჩავამთავრებდით.

— როგორ ფიქრობ, „დინამოს“ კრაკოვული თამაში ამ ეტაპზე გუნდისთვის მაქსიმუმი იყო?

— არა, რატომ?! გუნდს აშკარად ეტყობა, რომ დღითიდღე უმატებს, პოტენცია თვალშისაცემია. „ვისლა“ „სლავიაზე“ ძლიერი გუნდია, ჩვენ კი კრაკოვში პრაღის მატჩზე უკეთ ვითამაშეთ. დასტურად სამი გოლიც გამოდგება. „ვისლას“ ჩემპიონატის ექვს მატჩში სულ ორი გოლი აქვს გაშვებული. „დინამოსგან“ კი ერთბაშად სამი მიიღო.

— სიტყვამ მოიტანა და, „სლავიასა“ და „ვისლას“ თუ შეადარებ?

— ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადებით დაწყებული, უბრალო საფეხბურთო კომპონენტებით დამთავრებული, „ვისლა„ „სლავიაზე“ გაცილებით უკეთესი გუნდია. ახლა ბევრად უფრო ძლიერი მეტოქე გვყავს. ერთს გეტყვით, კრაკოვში მასპინძელთაგან ერთი უაზრო პასიც კი არ მინახავს, რასაც აკეთებდნენ, ყველაფერი წინასწარ გათვლილი იყო, ათასჯერ დამუშავებული.

— ბრძოლა, თავდადება, მონდომება, გასაგებია... შეგიძლია, გვითხრა, თბილისში „ვისლას“ „დინამომ“ კიდევ რით უნდა აჯობოს? როგორი თამაშით მოიგებს „დინამო“?

— „ვისლას“ დაცვაში აქვს სერიოზული პრობლემები. არც ცენტრალური მცველია ნამეტანი თავდაჯერებული და პოლონელებს ფლანგებზეც რაღაც აკლიათ. შუა ხაზი და თავდასხმა კი უფრო დაბალანსებულია. „ვისლას“ ნაკლი რომ არ ჰქონდეს, სტუმრად სამ გოლს ვერ გავუტანდით. მთავარია, პოლონელთა სისუსტე ზუსტად გამოვიყენოთ. „ვისლა“ სულაც არაა დაუძლეველი გუნდი.

— „ვისლას“ ლიდერის, ჟურავსკის შეჩერება როგორ შეიძლება?

— შეუჩერებელი, აბა, ვინ გინახავთ? რა, ჟურავსკი რონალდოა?! კარგი ფეხბურთელი კია, მაგრამ შეიძლება მისი განეიტრალება. ფეხბურთელი ყველა მატჩს ერთ დონეზე ვერ ჩაატარებს.

— შენს კოლეგას „ვისლასთან“ მატჩამდე რას ურჩევდი?

— მთავარია, ზურაბ მამალაძემ თავისი თამაში ითამაშოს და არ ინერვიულოს. ეს კი მას შეუძლია. მე მისი დიდი იმედი მაქვს.

— თუ გოლია, როდის, მატჩის დასაწყისშივე სჯობს „დინამომ“ გაიტანოს თუ ბოლოსკენ?

— მთავარია, გოლი იყოს და რა მნიშვნელობა აქვს, რა დროს გავიტანთ. ისე კი, დასაწყისშივე გატანა აჯობებს, მერე კონტრშეტევების საშუალება გვექნება, თანაც მეტოქე ანერვიულდება. მატჩი რომ მთავრდება, პირიქით, შენ ნერვიულობ და გატანა უფრო გიძნელდება. მაშინ უკვე მეტოქეს შეუძლია კონტრშეტევაზე დაგიჭიროს.

— მოკლედ, ერთი თვე ვერ ითამაშებ?

— ვნახოთ, ექიმები ჯერ ასე მეუბნებიან. იმედი კი მაქვს, რომ ჩემთვის წლევანდელი ევროტურნირი ჯერ არ დამთავრებულა და უეფას თასის ჯგუფში თამაშსაც მოვასწრებ.

**კობა ინასარიძე**

# დევაძე, დევივით ვარო

საქართველოს ნაკრებისა და „თბილისის“ მეკარე აკაკი დევაძე ეროვნული ჩემპიონატის მეშვიდე ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩისას ტრიბუნიდან ქომაგობდა თავისიანებს. მიზეზი ტრავმაა — დევაძე ერთი კვირის წინ ბოლნისის „სიონთან“ თამაშისას ისე დაშავდა, რომ შესაცვლელი შეიქნა, მაგრამ მაშინვე ითქვა, საშიში არაფერიაო.

დევაძე ვეტერინარებთან რომ არ გამოჩნდა, მაინც შევფიქრიანდით, თუმც... ყველაფერი კარგადააო, მოგვახარა დევაძემ, გუშინ რომ შევეხმიანეთ...

— უკვე არაფერს ვუჩივი. დღევანდელ ვარჯიშზე ფეხს აღარ შევუწუხებივარ. ასე რომ, ჩემს გულშემატკივრებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ. თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

— ესე იგი, მომავალ ტურში ითამაშებ...

— მწვრთნელი თუ მათამაშებს, ვითამაშებ, აბა, რას ვიზამ?!

— უკვე ძირითადი შემადგენლობის პრობლემაც გაქვს?

— ხუმრობა იქით იყოს და, საერთოდ, როცა ვთამაშობ, არანაირი პრობლემა არ მაქვს. ასე იყო მთელი ჩემი კარიერის მანძილზე. ახლაც ძალიან მიხარია, რომ ბექა შეყრილაძემ „ვიტ ჯორჯიასთან“ კარგად ითამაშა და კარი მშრალად შეინახა. ჯანსაღი კონკურენცია კი ყოველთვის სასარგებლოა.

— „ვიტ ჯორჯია“ ახსენე და, იმ მატჩის განაცხადში უნდა ყოფილიყავი, მაგრამ ტრიბუნაზე იჯექი...

— იმ დღეს ვარჯიშზე ისევ ამტკივდა მუხლი და დასვენება მირჩიეს. გუნდის დალალატება არ მინდოდა, მაგრამ ტკივილს ვერაფერი მოვუხერხე და...

— მოკლედ, ტრავმა სერიოზული არ გამოდგა...

— „სიონთან“ თამაშისას, მგონი, მამუკა რუსია დამეჯახა და მაშინ მართლა საშინლად მეტკინა. მუხლი შეშუპებული მქონდა და ვიფიქრე, სერიოზული ტრავმაა-მეთქი, მაგრამ გადავრჩი.

— ესე იგი, უკრაინასთან 13 ოქტომბრის მატჩამდე სრულად გამოჯანმრთელდები...

— აუცილებლად. მანამდე დრო საკმაოა და ჩემპიონატშიც მოვასწრებ კარში ჩადგომას. ისე კი, უკრაინასთან მატჩს ძალიან ოპტიმისტურად ვუყურებ. სულ მცირე, ერთი ქულა მაინც უნდა წამოვიღოთ.

**ბახა შალამბერიძე**



მურად ალთუნაშვილის ფოტო

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ფრისკის გატეხილი თავი 0:3 ღირს



„რომა" — „დინამოს" მატჩის შესვენებისას მომხდარი ამბავი უეფას სადისციპლინო კომიტეტმა გუშინ გაარჩია და დაადგინა, რომ „რომას" ჩაეთვალოს წაგება 0:3 და მომდევნო ორ საჩემპიონთალიგო საშინაო შეხვედრას უგულშემატკივროდ უმასპინძლოს. ანუ 3 ნოემბერს, ლევერკუზენის „ბაიერს" და 8 დეკემბერს მადრიდის „რეალს" „რომა" უქომაგოდ, ცარიელი ტრიბუნებით დაუხვდება. რომაულ კლუბს განაჩენის გასაჩივრება ხვალ შუალამემდე შეუძლია. ამ ამბავს კი წინ უძღოდა ბევრი საინტერესო ფაქტი, რომელზედაც ახლავე მოგახსენებთ.

იტალიური მედიის ნაწილმა მსაჯი ანდერს ფრისკი... სიმთვრალეში დაადანაშაულა. მათი ცნობით, შესვენებისას გასახდელში შესულ შვედს მაგიდაზე განახევრებული კონიაკის ბოთლი დახვდა. ნახევარი ფრისკმა მატჩამდე დალიაო.

„რომას" კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ კი ფრისკს მიკერძოებაშიც დასდო ბრალი: „მან ჩემს სასარგებლოდ ერთხელაც კი არ დაუსტვინა და თან ჩემთან საუბარზე უარი თქვა. ვფიქრობ, რომ გუნდის კაპიტანს მატჩის მთავარ არბიტრთან ლაპარაკის უფლება აქვს. ფრისკმა თავისი საქციელით გამოიწვია ის, რაც საბოლოოდ დაემართა — ვიღაც გიჟმა ტრიბუნიდან ნასროლი საგნით თავი გაუხეთქა".

აღსანიშნავია ისიც, რომ მომხდარის შემდეგ რომაული კლუბის აქციებმა ბირჟაზე საგრძნობლად დაიწია, რადგან „რომას" ჩემპიონთა ლიგიდან მოკვეთასაც ვარაუდობდნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| რომა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| რეალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |



ესენი, „რომას" ტიფოზები არიან, იტალიაში სიფიცხით გამორჩეულები




რომაელთა ფრანგ ფილიპ მექსეშს (№5) უეფამ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია სტკიცა

UEFA CUP

# გაფიც–ვააა!

უეფას თასის ერთხელ უკვე გადადებული შეხვედრა ფეთაჰ თიკვას „მაკაბისა" და „ჰერენვენს" შორის, რომელიც დღეს უნდა ჩატარებულიყო, გუშინ კიდევ ერთხელ გადაიდო. მიზეზი: ჰოლანდიური კლუბი ისრაელში ვერ ჩაფრინდა, რადგან იქაური ავიამომსახურენი სხვა საზოგადოებრივი სამსახურის ხალხთან ერთად (ჯამში 400 ათასი ადამიანი) გაიფიცნენ.

უეფას პრესმდივანმა ამასთან დაკავშირებით ბრძანა, რომ ისრაელის ფეხბურთის ასოციაციის შესაძლო გარანტიებზე დაყრდნობით, მატჩი შეიძლება ხუთშაბათისთვის ანუ ხვალისთვის გადაიდოს. დანიშნეს მატჩის დაწყების დროც — გრინვიჩის დროით 14 საათი.

ერთი სიტყვით, თუ დღეს, გრინვიჩის დროით 15 საათამდე ისრაელის მხარე თავის წილ გარანტიებს წარმოაჩენს, მატჩი ხვალ გაიმართება, თუმცა, როგორც „ჰერენვენის" საინტერნეტო გვერდზე ვკითხულობთ, მათ უეფა გამონაკლისის დაშვებას და გაფიცვის მიუხედავად, ერთი რეისის შესრულებას ჰპირდებოდა, რაც, როგორც ხედავთ, ამაო დაპირება გამოდგა.

პირველად მატჩი კი იმიტომ გადაიდო, რომ გასულ ოთხშაბათს თელ ავივის „მაკაბი" თამაშობდა მიუნხენის „ბაიერნთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩს.

საპასუხო შეხვედრა კალენდრის თანახმად 30 სექტემბერს ჰერენვენში გაიმართება.

**პაპუნა ძედია**

# სავიჩევიჩი ჩააყუდეს



**გუშინ** სერბულ ქალაქ პოდგორიცაში პოლიციამ დააპატიმრა ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელი დეიან სავიჩევიჩი.

სავიჩევიჩი ერთ-ერთ ბლოკ-პოსტზე არ დაემორჩილა პატრულის მოთხოვნას — გაეჩერებინა მანქანა — და პოლიციაც აედევნა. მერე გაირკვა, რომ სახელოვანი ფეხბურთელი საჭესთან ნასვამი მჯდარა და, როცა პოლიციელებმა ახსნა-განმარტება მოსთხოვეს, წინააღმდეგობაც გაუწია.

ასეა თუ ისე, ბელგრადული „ცრვენა ზვეზდასა" და იტალიური „მილანის" ყოფილი წევრი, ბოლოს კი იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი ახლა „ვირის აბანოშია" და იქიდან თავის დასახსნელად ჯიბის გვარიანად შეთხელებაც მოუწევს.

# მილანი და ტურინი რომის წინააღმდეგ

## ერთი მონეტა იმპერიის დასამხობად

*სერია A ჯერ ნესიერად არც დაწყებულა და იტალიური გრანდები უკვე ერთმანეთს ჭამენ. შეიძლება ითქვას, რომ გრძელდება ისტორიული და დაუსრულებელი ომი ქვეყნის სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის. იბრძვის ყველა, ჩვეულებრივი ჟურნალისტით დაწყებული, ქალაქის მერით დამთავრებული. ამ ფონზე თავად ფეხბურთი ცოტა არ იყოს, მეორე პლანზე ინაცვლებს, რადგანაც ხშირად კამათი სულ სხვა თემებზე გადადის, მაგალითად, რომელ კლუბს ჰყავს უფრო კულტურული ქომაგი ან საერთოდ, რომელ ქალაქშია ცხოვრების მაღალი დონე. ამ ყველაფერს პირობითად შეიძლება ასე დავარქვათ — მილანი და ტურინი რომის წინააღმდეგ*

ჩვეულებრივ ტიფოზებზე რომ არაფერი ვთქვათ, ერთმანეთში ცხარე კამათს აღარც ჟურნალისტები ერიდებიან. ისინი მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებით არ კმაყოფილდებიან და დებატებმა სატელევიზიო ეთერშიც კი გადაინაცვლა.

ვითარება ერთიორად დაძაბა მილანის მერმა ალბერტინიმ, რომელმაც განაცხადა, ჩემს ქალაქში გაცილებით ცივილიზებული და კულტურული გულშემატკივრები ცხოვრობენ, ვიდრე რომშიო. ალბერტინის დედაქალაქელმა კოლეგა ველტრონიმ პასუხი არ დააყოვნა და ყველას „სან სიროს" „ცოდვები" შეახსენა.

ცოტა ხნის წინ, „რომას" კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ პრესას განუცხადა, ფაბიო კაპელომ ჩვენს კლუბს აქ მუშაობის ხანგრძლივ პერიოდში არცთუ ისე ცოტა ზიანი მიაყენაო. ბუნებრივია, ტოტიც „შეამკო" ტურინის „იუვენტუსის" თავკაცმა. დონ ფაბიომ სპეციალური პრესკონფერენცია მოაწყო და რომაელთა ლიდერს დაწვრილებით უპასუხა.

ამას „ბებერი ქალბატონის" გენერალურ დირექტორ ლუჩანო მოჯის კიდევ უფრო სკანდალური განცხადება მოჰყვა: „ვიცით, რომ „რომას" პრობლემები აქვს. ერთ-ერთი მათგანი ანტონიო კასანოსთან გამწვავებული ურთიერთობაა. თუ დედაქალაქელებს კასანო არ სჭირდებათ, ჩვენ მზად ვართ, იგი მივიღოთ".

მოჯის ამ განცხადების შემდეგ „რომას" ცეცხლზე ნავთი უკვე ჟურნალ-გაზეთებმა და ტელევიზიებმა დაასხეს. იტალიურმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს ფაბიო კაპელო ყოველდღე ურეკავს კასანოს და მას ტურინში ეპატიჟება.

ტურინისა და მილანის წისქვილზე ისიც ასხამს წყალს, რომ რომაელ სამართლდამცავებს ჯერ კიდევ არ უპოვნიათ პიროვნება, რომელმაც შვედ ანდერს ფრისკს მონეტა ესროლა და თავი გაუტეხა. გარდა ამისა, დედაქალაქურ კლუბში მართლაც არეული ვითარებაა: კასანო მწვრთნელ რუდი ფიოლერს ეჩხუბა, ეს უკანასკნელი კი ფეხბურთელთა უდისციპლინობითაა აღშფოთებული და წასვლით იმუქრება. დაძაბულობაზე გავლენას „რომას" ფინანსური კრიზისიც ახდენს, ხოლო ეს ყველაფერი კიდევ უფრო აბოროტებს ისედაც სიფიცხით ცნობილ რომაელ ქომაგს.

საბოლოოდ ყველაფერი შეიძლება სერიოზულ უსიამოვნებაში გადაიზარდოს, თუ იტალიური პოლიცია ამ კლუბების ურთიერთშეხვედრებისას განსაკუთრებულად არ მოემზადება.

**გიორგი ძაძაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია

პაპუნა ქედია

# ოთხშაბათობა იტალიაში

**კახა კალაძე** ითამაშებს! დღეს „სან სიროზე“ „მილანი“ „მესინას“ მასპინძლობს და კარლო ანჩელოტის ქართველი, როგორც ირკვევა, სასტარტო შემადგენლობაში ჰყავს ჩასმული. წინასწარი ვარაუდით, „შავ-წითელი“ დაცვა ასეთი იქნება: მარჯვნივ კაფუ, შუაში ნესტა და მალდინი, ხოლო მარცხნივ ჩვენი ბიჭი. საგულისხმოა, რომ დისკვალიფიკაციის შემდეგ მოედანს უბრუნდება ძირითადი მეკარე დიდა, ხოლო თავდამსხმაში ანდრეი შევჩენკოსთან ერთად შეიძლება არც მეტი არც ნაკლები ფილიპო ინძაგიმ ითამაშოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს თავდამსხმელი აპრილის შემდეგ პირველად იქნება სასტარტოში.

| III ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ატალანტა | : | ინტერი |
| ბრეშა | : | ლაციო |
| კალიარი | : | სიენა |
| კიევო | : | უდინეზე |
| მილანი | : | მესინა |
| პალერმო | : | ფიორენტინა |
| პარმა | : | ბოლონია |
| რეჯინა | : | ლივორნო |
| რომა | : | ლეჩე |
| სამპდორია | : | იუვენტუსი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| უდინეზე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| ლეჩე | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 4 |
| მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| კიევო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| მესინა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| პალერმო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ლაციო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| რომა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ფიორენტინა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| კალიარი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| სიენა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ინტერი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| რეჯინა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ლივორნო | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ატალანტა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| პარმა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:4 | 1 |
| სამპდორია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ბოლონია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| ბრეშა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |

„მესინა“ კი ის გუნდია, რომელმაც წინა ტურში შინ „რომას“ მოუგო 4:3. მართალია, სიცილიელთა მწვრთნელი ბორტოლო მუტი ამბობს, რომ ამჯერად არაფერი უშველის და „სან სიროდან“ ხელცარიელი დაბრუნდება, მაგრამ ნუ დავივიწყებთ ჩემპიონატის პირველ დღეს, როდესაც ამავე „სან სიროზე“ ამავე „მილანთან“ სათამაშოდ, სერია A-ში ასევე წლეულს ასული „ლივორნო“ ჩავიდა და 2:2-ს გამოჰკრა ხელი.

ერთადერთი გუნდი, რომელიც ორი თამაშიდან ორი მოგებით მიდის და საყოველთაოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, გახლავთ „იუვენტუსი“. იგი მესამე ტურში გენუას გაემგზავრა, სადაც ამ საღამოს „სამპდორიას“ უნდა შეხვდეს და იმითაც გაუმართლა, რომ მასპინძლებს არ ეყოლებათ კრისტიანო დონი, აიმო დიანა, სერჯო ვოლპი და მორის კაროციერი. პირველი და მეორე დაშავებულია, ხოლო მესამე და მეოთხე დისკვალიფიცირებული.

„იუვეს“ შემადგენლობაში კი ცვლილება უფრო თავდასხმაშია მოსალოდნელი. სავარაუდოდ, ორ ტურში სამი გოლის ავტორ დავიდ ტრეზეგეს ამჯერად ახალნაყიდი შვედი ზლატან იბრაჰიმოვიჩი კი არა, ალესანდრო დელ პიერო შეუწყვილდება. მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული ცვლილება ნახევარდაცვაშიც — ალესიო ტაკინარდი შეიძლება მანუელე ბლაზიმ შეცვალოს, ხოლო მარჯვნივ რუბენ ოლივერა იქნება თუ მაურო კამორანეზი, შესაძლოა თამაშამდე თვით ფაბიო კაპელომაც არ იცოდეს.





კრისტიან ვიერის ობაფემი მარტინსი დღეს სავარაუდოდ, სათადარიგოთა სკამზე დასვამს

წინასწარ ფავორიტებად გამოცხადებული ტრიოდან მესამე, „ინტერი“, ბერგამოშია და „ატალანტას“ შეხვდება. პირველ ორ ტურში მილანელებმა მოგეხსენებათ, „კიევოსთან“ და „პალერმოსთან“ ფრედ ითამაშეს და ქომაგებისთვის ფრიად სამწუხარო ქულები დაკარგეს, თუმცა იოლი მატჩი არც დღეს ელით.

გამოჯანმრთელდა და ფორმაში ჩადგა ობაფემი მარტინსი, რომელიც სრულიად შესაძლებელია რობერტო მანჩინიმ თავდასხმაში ადრიანოს შეუწყვილოს და კრისტიან ვიერი სათადარიგოთა სკამზე დატოვოს, თუმცა ამ ცნობას დაზუსტებულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ.

„რომა“ კი „სტადიო ოლიმპიკოზე“ „ლეჩეს“ შეხვდება — შეგახსენებთ, ლეჩელთა მწვრთნელი ცნობილი ჩეხი ზდენეკ ზემანია — რომელიც, ასე და ამგვარად თავის ყოფილ გუნდს უნდა დაუპირისპირდეს. ისე კი „რომა“ საშინელ დღეშია, ცუდ ფორმაშია, დაცვაში უხეშ შეცდომებს უშვებს ფილიპ მექსეში. ეტყობა, ახალ გარემოს ჯერ ვერ შეეგუა და სხვა, მაგრამ მწვრთნელს, რუდი ფიოლერს ანტონიო კასანოს დისკვალიფიკაციის შემცირება, ანუ მისი დღევანდელ თამაშზე დაშვება მაინც მოეფონებოდა გულს. კვლავ ვერ ითამაშებენ კრისტიან კივუ, ტრაიანოს დელასი, დამიანო ტომაზი და გაეტანო დაგოსტინო.





ჯაჩინტო ფაკეტის (შუაში) ადრიანო მოსწონს, რობერტო მანჩინის კი გუნდს უქებს

# რაც კარგია, კარგია!

**„ინტერის“** პრეზიდენტი, ჯაჩინტო ფაკეტი ძალიან კმაყოფილია თავისი გუნდით. როგორც ეტყობა, ახალი ჩემპიონატის პირველ და მეორე ტურში ვერმოგებას პრეზიდენტზე მაინც და მაინც არ უმოქმედია. შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში „შავლურჯებმა“ ვერონაში „კიევოსთან“ ითამაშეს 2:2, ხოლო მეორე ტურში, შინ „პალერმოსთან“ 1:1.

„ბოლო ფრე აშკარად არ იყო ის, რასაც ვგეგმავდით, მაგრამ რომ გენახათ რა კარგად ვითამაშეთ, შედეგზე ალბათ, თვალებს დახუჭავდით. როგორც მწვრთნელმა, რობერტო მანჩინიმ თქვა, ოდნავ მეტი ყურადღება გვმართებს, რათა ამ ორ შეხვედრაში დაშვებული წვრილ-წვრილი შეცდომები აღარ გავიმეოროთ. როგორც საქმემ გვიჩვენა, ეს შეცდომები ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისა ყოფილა. ცხადია, დაცვა უნდა გავაძლიეროთ, მაგრამ თავდასხმაშიც უკეთ გვმართებს თამაში, თორემ ძალიან ბევრი მომენტი შევქმენით და ისინი მომენტებადვე დარჩა“.

შემდეგ, ლეგენდარულმა მცველმა ბრაზილიელი თავდამსხმელი, ადრიანო შეაქო:

„მან ერთხელად დაუმტკიცა ყველას თუ რა შეუძლია. ის ძალიან ტექნიკურია, იმავდროულად ათლეტურიცაა და ფსიქოლოგიურად მტკიცე. ადრიანო ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი წევრია“.

და ბოლოს სიტყვამ კრისტიან ვიერი მოიტანა. ვიერი კვირას, მოგეხსენებათ, სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

„მას ყინულის გასალღობად ერთი გოლი სჭირდება. როგორც კი ის ერთი გოლი შევარდება, ეჭვი არ მეპარება, რომ ვიერი უწინდელივით დაიწყებს გოლების გატანას“.

**პაპუნა ქედია**

# მორცხვად თავი დახარა

**ანტონიო** კასანოს თემას ასეთი გაგრძელება აქვს: „რომას“ 21 წლის ფორვარდს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია შეუმცირეს და ამდენად დღეს, მას „ლეჩესთან“ შეხვედრაში მოედანზე გასვლის ნება აქვს. შეგახსენებთ, რომ კასანო პირველ ტურში, „ფიორენტინასთან“ ხულიგნობის და მეტოქის მცველის წინააღმდეგ „ლაშქრობისთვის“ დასაჯეს. ამ დისკვალიფიკაციის წინააღმდეგ რომაულმა კლუბმა წინა პარასკევსაც იჩივლა, მაგრამ მაშინ ფეხბურთელის შეწყალებაზე უარი უთხრეს, მეორე ცდიდან კი ყველაფერი კარგად აეწყო.

მეორე განხილვა პირველისგან იმით იყო განსხვავებული, რომ ამჯერად „მსაჯულების“ წინაშე კასანოს უშუალოდ მოუხდა გამოსვლა.

კიდევ ერთი იტალიურ—დისციპლინირული ცნობა ის გახლავთ, რომ „ბრეშას“ სერია A-ს უახლოეს ორ ტურში არ ეყოლება მატიას ალმეიდა. არგენტინელი ფეხბურთელი „ლეჩესთან“ შეხვედრაში მსაჯთან კამათის გამო დაისაჯა. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ალმეიდამ მსაჯების მიმართ ურჩობით თავი ისე გამოიჩინა, რომ კარგა ხანს იყო დისკვალიფიცირებული და აი, ახლა რეციდივი.

თითო თამაშით დასაჯეს პალერმოელი ჯუზეპე ბიავა, პარმელი დანიელე ბონერა და სამპდორიელები, სერჯო ვოლპი და მორის კაროციერი.

**პაპუნა ქედია**



ანტონიო კასანომ საჯაროდ მოიბოდიშა

# ვაჰ, ვაჰიდ!

„პარი სენ ჟერმენის“ 26 წლის სერბი თავდამსხმელი, დანიელ ლიუბოია აღშფოთებულია — ის კვირას, საფრანგეთის ჩემპიონატის შეხვედრაში, „მონაკოს“ წინააღმდეგ არ ათამაშეს, სკამზეც კი არ დასვეს. არადა, საქმე ის გახლავთ, რომ წინა სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში „ჩელსის“ წინააღმდეგ, გამოჯანმრთელებული სერბი უკვე სათადარიგოთა სკამზე იჯდა და დაყრილი ხმები, რომ ლიუბოიასა და პარიზელთა მწვრთნელს, ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩს ცუდი ურთიერთობები აქვთ, მართალია.



ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი პსჟ-ს ქომაგებს გულზე არ ეხატებათ

„ველარაფერი გამიგია — წერს ლიუბოია საკუთარ საინტერნეტო გვერდზე — მწვრთნელმა მითხრა, რომ სათადარიგოთა შორისაც კი არ ვიქნებოდი. კვირას ვაჰიდმა საერთოდ დამაშორა გუნდს, რამაც საშინლად იმოქმედა ჩემზე. გასულ სამშაბათს, „ჩელსისთან“, ბედნიერი ვიყავი, რომ პსჟ-სთან ერთად გახლდით. არადა, მინდა გითხრათ, რომ ამაზე ერთი კვირით ადრეც ვიყავი მზად, ოღონდ მწვრთნელმა სარეზერვო გუნდში ჩამსვა“.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ მწვრთნელის ასეთი ქცევა პარიზელ ქომაგებს წესით არ უნდა მოსწონდეთ, რადგან მათ ლიუბოია მოსწონთ, ხოლო ჰალილჰოჯიჩი, შედეგებიდან გამომდინარე, გულზე არ ეხატებათ.

**ბაბუნა ძიდია**

*„შალკეს“ ბოსმა რუდი ასაუერმა შორს დაიჭირა, თანამდებობიდან გათავისუფლებული იუპ ჰაინკესის ნაცვლად ჰოლანდიური „ალკმაარისთვის“ კო ადრიანსეს წართმევას, ნამდვილად არ [illegible]*

# რა კო, რის კო

**საქმე** ის გახლავთ, რომ გერმანული გუნდის ყოფილი ფორვარდი, იური მულდერი ახლა ჰოლანდიაშია, ტელევიზიაში მუშაობს და გასულ უქმეებზე სწორედ ის აცხადებდა დაჟინებით ადრიანსეს ამბავს, მაგრამ როგორც გითხარით, ასაუერმა კატეგორიული უარი განაცხადა:

„ადრიანსეს არ დავკავშირებივარ და საერთოდ, მწვრთნელებთან მოსალაპარაკებლად რაიმე სერიოზული ნაბიჯი არც კი გადამიდგამს“.

მართლაც, „შალკეს“ ბოსმა ეს უკვე მერამდენედ გაიმეორა, რომ ახალი მწვრთნელის დანიშვნას არ ჩქარობს, რადგან ერთადერთი, სწორი გადაწყვეტილების მიღება უნდა, ამას კი დრო სჭირდება.

„როგორც ადრე ვთქვი, სანამ ნაბიჯს გადავდგამ ყველაფერი ძალიან კარგად უნდა გავაანალიზო“ — ბრძანა ასაუერმა.

კო ადრიანსეს „ალკმაართან“ კონტრაქტი 2006 წლამდე აკავშირებს, მაგრამ, როგორ პრესაში გაჟონა, „შალკეში“ სავარაუდო მუშაობის შესახებ უთქვამს, ძალიან საინტერესო აზრიაო.

რაც შეეხება საკუთრივ გერმანულ გუნდს, იუპ ჰაინკესის გათავისუფლების შემდეგ, დროებითი ხელმძღვანელის, ედი აჩტერბერგის ხელმძღვანელობით ლევან კობიაშვილის „შალკემ“ უკვე ორი თამაში მოიგო.

**ბაბუნა ძიდია**





კო ადრიანსეს რუდი ასაუერის გუნდში მუშაობა საინტერესო ჰგონია, მაგრამ...

# ბედის დაცინვა



აპარესიდო სეზარი „ლაციოს“ ძალიან დააკლდება

„ლაციომ“ გაავრცელა ცნობა, რომ მისი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, აპარესიდო სეზარი ტრავმის გამო მთელი 40 დღის განმავლობაში ველარ დაეხმარება თანაგუნდელებს. ბრაზილიელმა მარცხენა ხელის კუნთი დაიზიანა და ორშაბათის ტესტებმა რომაელთა ყველაზე ცუდი მოლოდინი დაადასტურა.

შეგახსენებთ, რომ გასულ ზაფხულს სეზარის გუნდში დასატოვებლად „ლაციოს“ შეფებს დიდი ომების გადატანა მოუხდათ, რადგან ბრაზილიელით უამრავი გუნდი გახლდათ დაინტერესებული. განსაკუთრებულ ყურადღებას „იუვენტუსი“ და „ინტერი“ იჩენდნენ. ასე, რომ ამხელა ისტორიის გადატანის შემდეგ, მისი დაშავება ალბათ, ყველაზე დიდი უიღბლობა იყო, რაც კი შეიძლებოდა „ლაციოს“ თავს გადახდენოდა.

**ბაბუნა ძიდია**

# სვენი რეალისტია და არა რეალისტი

**ინგლისის** ნაკრების თავკაცი სვენ გორან ერიკსონი, რომელიც ბოლო დღეებში ბრიტანული თუ ესპანური პრესის ყურადღების ცენტრში იყო, თავადაც ალაპარაკდა. იგი ამჟამად სამშობლოში იმყოფება, სტოკჰოლმი ევროპული ნაკრებების მწვრთნელთა კონფერენციას მასპინძლობს.



როგორც იცით, ერიკსონის სახელს კვლავაც მადრიდის „რეალს“ უკავშირებდნენ. ბრიტანულ ჟურნალ-გაზეთებში იწერებოდა, ერიკსონს „სამეფო კლუბთან“ უკვე წინასწარი კონტრაქტიც კი აქვს გაფორმებული და ნისლიან ალბიონს ტოვებსო.

სკანდინავმა სპეციალისტმა შვედეთის დედაქალაქში ამასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა: „მადრიდელებთან არანაირი კონტაქტი არ მაქვს, უბრალო საუბრის დონეზეც კი. არც რომელიმე სხვა კლუბთან ვაწარმოებ მოლაპარაკებას, ყველაფერი ჟურნალისტების მოგონილია. ყველას ვურჩევ, ჭორებს ნუ დაუჯერებთ, მე ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან მაქვს კონტრაქტი. აი, ეს არის რეალობა“.

ერთი სიტყვით, შვედმა საკუთარი თავი გამოირიცხა და გუშინვე, ევროპა უეცრად ახალ კანდიდატზე ალაპარკდა — გერმანელი ოტმარ ჰიცფელდი უმუშევარია და მადრიდის „რეალს“ სწორედ ის ჩაიბარებსო.

**გიორგი ძაძაბაძე**

# პელე იაფად გასაღდა



*პელეს ლურჯი მაისურა, რომელიც მას 17 წლისას ეცვა 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში კრისტის აუქციონზე გაიყიდა 59 ათას გირვანქად. მყიდველი ტელეფონით დაუკავშირდა აუქციონს და არ გამოჩენილა.*

*ეგონათ, რომ მაისურა 70-100 ათას გირვანქად გაიყიდებოდა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. სან პაულუს მუზეუმმა, რომელიც ისტორიულ სამოსს სიდუხჭირის გამო შეელია, იმის ნახევარი ძლივს აიღო, რამდენადაც პელეს 1970 წლის ფინალის მაისურა გაიყიდა.*

*ეს სამოსი ტრადიციულად ბრაზილიური ყვითელი ფერისა არ არის, არამედ ლურჯია. 1958 წელს ბრაზილიელები ფინალში შვედებს, ასევე ყვითელმაისურიანებს ხვდებოდნენ და სათადარიგო ფორმით ითამაშეს. ის მატჩი ბრაზილიამ 5:2 მოიგო და პელემ სწორედ ამ მაისურაში გამოწყობილმა გაიტანა ორი გოლი.*

*იმავე დღეს კრისტიმ 24 ათას გირვანქად გაყიდა პოლ გესქოინის მაისურა, რომელიც მას 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში, გერმანელთა წინააღმდეგ ეცვა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისს დიდი მწვრთნელი გარდაეცვალა

*„ღმერთს რომ ნდომებოდა ფეხბურთი ცაში გვეთამაშა, მაშინ ღრუბლებზე ბალახს დათესავდა“ — ამბობდა ბრაიან კლაფი*



ეპიტაფიები არ მინდა, არც ისტორიაში შესვლა. ვილაც მაინც ხომ იტყვის, რომ მოვწონდი — ბრაიან კლაფი

**ინგლისურ** ფეხბურთს გამოაკლდა ერთი დიდი, გენიალური, ხასიათიანი კაცი: 69 წლისა მუცლის ღრუს კიბოთი გარდაიცვალა „დერბი ქაუნთისა“ და „ნოტინგემ ფორესტის“ ლეგენდარული მწვრთნელი ბრაიან კლაფი. კლაფი, რომელიც ბევრს ავადმყოფობდა, შარშან კი ქრონიკული ლოთობის ათწლეულის შემდეგ ღვიძლი გადაინერგა, დერბი სიტის ჰოსპიტალში მიიცვალა.

საერთაშორისო სახელით ეს ის კაცია, ვინც ორჯერ ზედიზედ, 1979 და 1980 წლებში მოაპოვებინა ჩემპიონთა თასი „ნოტინგემს“, საშინაოდ კი ამავე გუნდის და „დერბის“ ჩემპიონობა მოახერხა.



გენიალურ ბრაიან კლაფს ხალხმა სკადრისი პატივი მიაგო

კლაფი მენეჯერობას 1993 წელს, „ნოტინგემშივე“ გამოეთხოვა.

მას ატირებული, ავი, ბრაზიანი და მკაცრი კაცის სახელი ჰქონდა, მაგრამ მსოფლიო კლასის, ძალიან პატივცემული მენეჯერი გახლდათ.

ის 1935 წელს დაიბადა მიდლსბროში და თამაშიც იქავე დაიწყო. მშვენიერი მეგოლე იყო: მშობლიური ქალაქის გუნდში 222-ჯერ ითამაშა და 204 გოლი გაიტანა, მერე „სანდერლენდში“ გადავიდა და იქაც 74 თამაშში 63 გოლი შეაგდო. მუხლის მძიმე ტრავმამ ის აიძულა ადრე გამოთხოვებოდა თამაშს და 26 წლისა ვეტერანად აქცია. 1965 წელს კლაფი, ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მენეჯერი შეიქნა, როცა მეოთხე დივიზიონის „ჰარტლპულს“ ჩაუდგა სათავეში. ორი წლის თავზე ის „დერბიში“ გადაიყვანეს და კიდევ ორი წლის თავზე „დერბი“ პირველ (ახლა პრემიერ) დივიზიონში გადაიყვანა, 1972 წელს კი საერთოდაც ინგლისის ჩემპიონი გახადა. „დერბი“ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალშიც გავიდა. მომდევნო წლის ოქტომბერში კლაფი კლუბის დირექტორებს ეჩხუბა და გადადგა. შემდეგ მან ქვეყნის საუკეთესო კლუბი „ლიდსი“ ჩაიბარა, თუმცა 44 დღეში დატოვა იგი, ფეხბურთელთა აჯანყების გამო, დიქტატურას ვერ შეეგუებითო.

საბოლოოდ კლაფი, „ნოტინგემში“ მივიდა. 1977 წელს ეს გუნდი პირველ დივიზიონში გადმოიყვანა, მომდევნო წელს კი ჩემპიონიც შეიქნა. ამის შემდეგ „ფორესტმა“ ევროპა დაიპყრო და ზედიზედ მოიგო ჩემპიონთა თასი: ჯერ „მალმიო“ დაამარცხა, მერე „ჰამბურგი“. „მე არ ვიყავი მსოფლიოში საუკეთესო მენეჯერი, მე უბრალოდ პირველი ვიყავი“ — ამბობდა იმ დროის შესახებ კლაფი, რომელიც ისედაც განთქმული იყო მარილიანი, მუშური ლაპარაკით. მაგალითად, ბოლო დროს მან თქვა: „მთელი თავისი ცხენების, რაინდობის, ჩემპიონობის მიუხედავად, ალექს ფერგიუსონს მაინც არა აქვს ორი ცალი ის, რაც მე მაქვს. რა თქმა უნდა, ყვერებს არ ვგულისხმობ“.

კარიერაში კლაფმა ოთხჯერ მოიგო ლიგის თასი, თუმცა ასოციაციისა ვერცერთხელ. 1991 წელს მან „ტოტენჰემთან“ წააგო ფინალი და მიხვდა, რომ ნოტინგემური კარიერის ფინალი ახლოვდებოდა. 1993 წელს მან კლუბი დატოვა და სმას მიეძალა. კლაფის გამოთქმები ნამდვილი საგანძური იყო გაზეთებისათვის. როი კინი ერთხელ იგონებს, რომ მას კლაფმა ხელი გაარტყა. თავად მენეჯერი, რომელსაც თავის ფეხბურთელებზე ხელი გაჩვეული ჰქონდა, ხუმრობდა: „კი, შემოვარტყი. მაგრამ სწრაფად წამოდგა, ესე იგი, ღონივრად არ შემომირტყამს“.

წლინახევრის წინათ, კლაფმა ღვიძლი გადაინერგა და ავადმყოფი პენსიონერის ცხოვრებით ცხოვრობდა. ამ ზაფხულს ის ევრო-2004-ის მიმომხილველადაც გამოჩნდა ინგლისურ არხებზე.

„ეპიტაფიები არ მინდა, არც ისტორიაში შესვლა. ვილაც მაინც ხომ იტყვის, რომ მოვწონდი“ — ასეთი წარმოედგინა თავად კლაფს ბრაიან კლაფი სიკვდილის შემდეგ.

**ირაკლი გამყრელიძე**





სემ ალარდაისი „ბოლტონის“ პრეზიდენტს კევინ კიგანის შემცვლელად ვერ წარმოუდგენია

# ფერადი ამბავი

## წითელი კი, ლურჯი არა

**„ბოლტონის“** მწვრთნელმა სემ ალარდაისმა ინგლისში სახელი შარშანდელ სეზონში გაითქვა, რადგან საკმაოდ კარგი გუნდი შეკრა, ამჟამად კი „ბოლტონი“ პრემიერლიგაში მესამე ადგილზეა. ალარდაისის შეგირდებმა გასულ უქმეებზე ლონდონის „არსენალს“ ხუთმატჩიან მოგებათა სერია „ჰაიბერიზე“ შეუწყვიტეს და, რასაკვირველია, ამ მწვრთნელის აქციებმაც აიწია. მისი გადაბირება „მანჩესტერ სიტის“ სდომებია და საჯაროდაც განუცხადებია, ალარდაისი მალე კევინ კიგანს შეცვლისო. კიგანის მანჩესტერული მომავალი კი ეჭვქვეშაა, რადგან მისმა გუნდმა სეზონი ცუდად დაიწყო.

„ბოლტონის“ თავმჯდომარე ფილ გარტსაიდმა ეს ამბავი რომ შეიტყო, ჭორი უწოდა და თქვა: „მხოლოდ ერთი მანჩესტერული კლუბი ვიცი, რომლისთვისაც ალარდაისი მემეტება — ეს „მანჩესტერ იუნაიტედია“ და არა „მანჩესტერ სიტი“. „წითლებმა“ რომ მოისურვონ, თანახმა ვარ, ალარდაისს გავუშვებ, რადგან მისთვის, როგორც პროფესიონალისთვის, ალექს ფერგიუსონის ადგილი წინსვლად შეფასდება, ხოლო „ლურჯებთან“ უკაცრავად. ისინი ყელამდე ვალში არიან და თან „იუნაიტედთან“ ჯილდოებით ახლოსაც ვერ მივლენ“.

ჩვენ კი, აქვე შეგახსენებთ: სემ ალარდაისის გადაბირება ბობი რობსონის წასვლის შემდეგ „ნიუკასლსაც“ ეწადა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# თავები წვიმაში

## ინგლისი

**პრემიერლიგა. VI ტური**

**მანჩესტერ იუნ. 2:1 ლივერპული**

1:0 სილვესტრი (20), 2:0 ოში (54ს.კ.), 2:1 სილვესტრი (66)

**მანჩესტერ იუნ:** კეროლი, ჰაინცე, რ. ფერდინანდი, ვ. ბრაუნი, ოში, მ. სილვესტრი, როი კინი, სქოულზი (ა. სმიტი 85), გიგზი, ვან ნისტელროი, კ. რონალდო

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

**ლივერპული:** დუდეკი, ხოსემი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ფინანი, ჯერარდი (ჰამანი 39), ხაბი ალონსო, კიუელი, ლუის გარსია, ჯ. სისე (ბაროში 67)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: კინი, ხოსემი, ხაბი ალონსო

მსაჯი: პოლი

67 857 მაყურებელი

**ინგლისში** ცხვირპირჩამომტირალ კაცზე იტყვიან, იერი აქვს, როგორც ამინდი მანჩესტერშიო. თუმცა, მანჩესტერში წვიმა ხანდახან გადაიღებს ხოლმეო.

სწორედ ასეთი ამინდი იყო ორშაბათს „ოლდ ტრაფორდზე", სადაც წვიმა ხანდახან თუ გადაიღებდა, თუმცა, „მანჩესტერსა" და „ლივერპულს" მაინც გვარიანი თამაში გამოუვიდათ და სწორედაც რომ ძველებური, ინგლისური სადამო შედგა.

„მანჩესტერმა" მოიგო ერთი ბურთის სხვაობით, თუმცა „ლივერპულმა" აჩვენა ის, რისთვისაც ასე უყვარდათ ძველ დროში: სისწრაფე, ჯანი, შორეული დარტყმები და ხიფათის მოულოდნელად შექმნის უნარი. ოღონდაც, ეს ყველაფერი მერსისაიდლებს მხოლოდ მეორე ნახევარში გამოუვიდათ, მათი ილბალი კი ის იყო, რომ პირველი ტაიმი ერთი ბურთით წააგეს, მეორეს დასაწყისში კი ილბალა გოლით გაათანაბრეს: მეკარისაგან მარცხენა ძელთან, სტივ ფინანმა თავით მიუსწრო ხაბი ალონსოს ჩაკიდულ ჯარიმას და კარის წინ ჩამოაგდო. ბურთი ჯონ ოშის მოხვდა და კარში შეგორდა.

ეს გოლი შუაში იყო და მას სენდვიჩივით შემოეწყო მიკაელ სილვესტრის ორი თავური: გატანილი ასევე სტანდარტულებიდან: პირველ ტაიმში სილვესტრი, რომელსაც ამდენს აკრიტიკებდნენ დაცვაში აჭრისათვის, მოხდენილად გამოუხტა გიგზის მიერ მარჯვენა ფლანგიდან ჩაკიდებულ ჯარიმას, მეორეში კი იგივ გიგზის, ასევე მარჯვნიდან ჩაწოდებულ კუთხურს, რომელიც, სიმართლე ითქვას და კუთხური არც იყო: გიგზ-სემი ჰიიპიას ორთაბრძოლის შემდეგ ბურთი მანჩესტერელისგან გავიდა ხაზს იქეთ და მსაჯებს გამოეპარათ.



„მანჩესტერ იუნაიტედმა" მიკაელ სილვესტრის თავურებით მოიგო

გიგზი ერთგვარი იუბილარიც იყო ამ წვიმიან საღამოს, მეექვსასედ თამაშობდა „მანჩესტერის" რიგებში. ის და კრისტიანო რონალდო საუკეთესონი იყვნენ და მეტად კარგად ირჯებოდნენ ფლანგებზე, სერ ალექსს იმგვარი ეშმაკობით დაეგეგმა მათი გადაადგილებები, რომ სტუმრებს ძალიან უჭირდათ გარკვევა, რატომ აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ერთ ფლანგზე ეს სწრაფი ბიჭები. „ლივერპულს" პირველ ტაიმშივე დაუშავდა სტივ ჯერარდი, რომელმაც ფეხი მოიტეხა და სულ ცოტა ორი თვე იმკურნალებს. „მანჩესტერს" კი დაუბრუნდა რვა თვეს ნაუქმარი რიო ფერდინანდი, რომელმაც თამაშზე დამშეულმა თქვა, ეს ყველაფერი ბრწყინვალე იყოო.

მან საუცხოოდ ითამაშა — განაცხადა ფერგიუსონმა. თუმცა, თავიდან რიო ჯერ თავისიან ბრაუნს შეეჯახა, მერე კი ხაბი ალონსო მოცელა. ასეთი იყო მისი პირველი ორი ეპიზოდი თამაშში, რომელშიც „მანჩესტერის" დაცვას მხოლოდ მეორე ტაიმში დაადგა ჯაფა.

ამ მოგებით „მანჩესტერმა" მერვე ადგილს უწია, „ლივერპულმა" კი მე-12 საფეხური დაიკავა, სწორედ ის, ამ მატჩამდე „მანჩესტერს" რომ ეჭირა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 6 | 5 | 1 | 0 | 21:7 | 16 |
| ჩელსი | 6 | 4 | 2 | 0 | 6:1 | 14 |
| ევერტონი | 6 | 4 | 1 | 1 | 8:6 | 13 |
| ბოლტონი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:8 | 11 |
| ტოტენჰემი | 6 | 2 | 4 | 0 | 4:2 | 10 |
| მიდლსბრო | 6 | 3 | 1 | 2 | 11:10 | 10 |
| მანჩესტერი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | 9 |
| ასტონ ვილა | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | 9 |
| ნიუკასლი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:10 | 8 |
| ჩარლტონი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:10 | 8 |
| სიტი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:6 | 7 |
| ლივერპული | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| პორტსმუთი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:8 | 7 |
| ბირმინგემი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:6 | 5 |
| ფულემი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:11 | 5 |
| ბლექბერნი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:11 | 5 |
| საუთჰემპტონი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:10 | 4 |
| ნორვიჩი | 6 | 0 | 4 | 2 | 5:9 | 4 |
| ვესტ ბრომვიჩი | 6 | 0 | 4 | 2 | 5:9 | 4 |
| კრ. პალასი | 6 | 0 | 1 | 5 | 5:13 | 1 |



REUTERS

რიო ფერდინანდი დაბრუნდა და ლივერპულელი ლუის გარსიაც (№10) გვარიანად გააწამა

## ფეხბურთის რუკასთან

**იტალიის** ჩემპიონატის მომსახურე მსაჯები სერია A-ს მატჩების დროს ამიერიდან სპეციალურ სამკლავურებს გაიკეთებენ, რომლებზედაც კვახი იქნება გამოსახული. საქმე ისაა, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ფიფას ნებართვით ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან ბანკთან, რომლის ლოგოც სწორედ კვახი გახლავთ. მომავალი ოთხი სეზონის მანძილზე სერია A-ს მსაჯები ამ ბანკს რეკლამას გაუკეთებენ, იტალიის ფეხბურთის ფედერაცია კი 8 მილიონ ევროს მიიღებს.

**გერმანულ** „ბოხუმს" საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდის, მამადუ დიაბანგის გარეშე მოუწევს თამაში. მან უეფას თასზე, ლიეჟის „სტანდარდთან" მატჩში მუხლი დაიზიანა და ექიმების ვარაუდით, დაახლოებით ექვს თვეს ვერ იბურთავებს. ბუნებრივია, ამ ინფორმაციამ კიდევ უფრო დაამწუხრა კლუბის მესვეურები, რადგანაც „ბოხუმმა" სეზონი არცთუ ისე შთამბეჭდავად დაიწყო.

**იტალიური** „იუვენტუსის" ფრანგ ფორვარდ დავიდ ტრეზეგეს თავისი ლეგენდარული თანამემულის, მიშელ პლატინის შედეგის გაუმჯობესება სურს, რაზეც ტრეზეგე უკვე დიდი ხანია, ოცნებობს. ახლა კი, მიზნის მისაღწევად ძალიან კარგი შანსი აქვს, რადგანაც პლატინის „იუვეს" რიგებში 105 გოლი აქვს გატანილი, ტრეზეგეს კი ჯერჯერობით 93.

**რუსული** „სპარტაკი" გაძლიერებაზე ფიქრს განაგრძობს და უკვე მომავალი სეზონისთვის ემზადება. ცოტა ხნის წინ გადაბირებულ რამდენიმე ფეხბურთელს მათ კიდევ ორი დაუმატეს — „რუბინის" ნახევარმცველმა დენის ბოიარინცევმა და „ალანიას" გოლკიპერმა დმიტრი ხომიჩმა „სპარტაკთან" წინასწარი კონტრაქტები უკვე გააფორმეს.

**ესპანური** „ვალენსიას" ლიდერი პაბლო აიმარი სამი კვირა იძულებით დაისვენებს. „სოსიედადთან" მიღებული ტრავმა არც ისე სერიოზული აღმოჩნდა, როგორც ექიმები თავიდან ვარაუდობდნენ, თუმც პრიმერადივიზიონის მატჩების გარდა აიმარს ჩემპიონთა ლიგაში ბრემენის „ვერდერთან" მატჩის გამოტოვებაც მოუწევს.

**სერბული** „ცრვენა ზვეზდა" უეფას თასზე „ზენიტთან" გამანადგურებელი მარცხის (0:4) შემდეგ, ახალ მწვრთნელს ეძებს. ამჟამად კანდიდატი ოთხია — ვლადიმირ პეტროვიჩი, სლობოდან სანტრაჩი, დრაგან კანტლაროვსკი და რატკო დოსტანიჩი. თუმც, გავრცელებული ინფორმაციით, გუნდის პრეზიდენტმა დრაგან ჯაიჩმა ფაქტობრივად, უკვე ყველაფერი შეათანხმა რატკო დოსტანიჩთან, მაგრამ კონტრაქტის გაფორმებას ჯერ არ ჩქარობს, რადგანაც გუნდის ყოფილი ფეხბურთელის და მაკედონიის ნაკრების ამჟამინდელი თავკაცის, დრაგან კანტლაროვსკის გადაბირება უფრო სურს.

## საფრანგეთი

**II დივიზიონი. IX ტური**

**ლორიანი 1:1 გენგამი**

0:1 ბურანი (22), 1:1 ბასტიანი (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრესტი | 8 | 5 | 1 | 2 | 15:11 | 16 |
| სედანი | 8 | 5 | 1 | 2 | 10:7 | 16 |
| ამიენი | 8 | 4 | 3 | 1 | 11:7 | 15 |
| გენიონი | 8 | 4 | 3 | 1 | 8:4 | 15 |
| ნანსი | 8 | 4 | 2 | 2 | 8:6 | 14 |
| დიჟონი | 8 | 4 | 1 | 3 | 10:8 | 13 |
| რეიმსი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:10 | 12 |
| გრენობლი | 8 | 3 | 3 | 2 | 12:13 | 12 |
| ლე ავრი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:7 | 11 |
| ლორიანი | 9 | 3 | 2 | 4 | 9:11 | 11 |
| კლერმონი | 8 | 2 | 4 | 2 | 10:7 | 10 |
| ლე მანი | 8 | 2 | 4 | 2 | 8:6 | 10 |
| ლავალი | 8 | 2 | 4 | 2 | 7:10 | 10 |
| ანჟე | 8 | 2 | 3 | 3 | 7:8 | 9 |
| გენგამი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:13 | 9 |
| ტრუა | 8 | 2 | 2 | 4 | 11:13 | 8 |
| მონპელიე | 8 | 2 | 2 | 4 | 6:9 | 8 |
| კრეტეი | 8 | 2 | 1 | 5 | 8:11 | 7 |
| შატორუ | 8 | 1 | 4 | 3 | 8:11 | 7 |
| ნიორი | 8 | 2 | 0 | 6 | 7:11 | 6 |

## უკრაინა

**უმაღლესი ლიგა. VII ტური**

**დნიპრო 1:2 დინამო**

**მეტალურგი (დ) 2:1 ილიჩევეცი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 7 | 7 | 0 | 0 | 16:2 | 21 |
| დინამო | 7 | 5 | 1 | 1 | 12:6 | 16 |
| მეტალურგი (დ) | 7 | 5 | 1 | 1 | 13:8 | 16 |
| ვოლინი | 7 | 4 | 0 | 3 | 8:8 | 12 |
| მეტალისტი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:11 | 11 |
| დნიპრო | 7 | 3 | 1 | 3 | 9:11 | 10 |
| კრივბასი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:6 | 9 |
| არსენალი | 7 | 2 | 3 | 2 | 5:8 | 9 |
| ილიჩევეცი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:8 | 8 |
| ზაკარპატია | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| ჩერნომორეცი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:7 | 7 |
| ობოლონი | 7 | 1 | 3 | 3 | 2:4 | 6 |
| ვორსკლა | 7 | 2 | 0 | 5 | 4:7 | 6 |
| მეტალურგი (ზ) | 7 | 0 | 5 | 2 | 4:9 | 5 |
| ტავრია | 7 | 0 | 3 | 4 | 4:8 | 3 |
| ბორისფენი | 7 | 0 | 3 | 4 | 4:11 | 3 |

## პორტუგალია

**სუპერლიგა. III ტური**

**სპორტინგი 0:1 მარიტიმუ**

0:1 მანდუკა (11)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| სეტუბალი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ბელენენსეში | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| ბოავიშტა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| მარიტიმუ | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| გიმარაეში | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| მორეირენსე | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ლეირია | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| რიუ ავე | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 |
| ნასიონალი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ბეირა მარი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| სპორტინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| პორტუ | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ბრაგა | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ეშტორილი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:6 | 2 |
| აკადემიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| პენაფიელი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:8 | 1 |
| ჟილ ვისენტე | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | 0 |

## რუსეთი

**პრემიერლიგა. XXIII ტური**

**ზენიტი 3:1 ტორპედო**

0:1 პანოვი (24), 1:1, 2:1 კერჟაკოვი (76, 79), 3:1 გარტიგი (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 23 | 15 | 3 | 5 | 43:25 | 48 |
| ცსკა | 23 | 13 | 7 | 3 | 40:19 | 46 |
| ლოკომოტივი | 23 | 12 | 6 | 5 | 33:17 | 42 |
| კრილია | 23 | 12 | 4 | 7 | 40:34 | 40 |
| ტორპედო | 23 | 11 | 6 | 6 | 38:27 | 39 |
| შინიკი | 23 | 10 | 7 | 6 | 24:21 | 37 |
| მოსკოვი | 23 | 8 | 9 | 6 | 28:25 | 33 |
| სპარტაკი | 23 | 9 | 4 | 10 | 34:35 | 31 |
| სატურნი | 23 | 6 | 11 | 6 | 23:21 | 29 |
| როსტოვი | 23 | 6 | 7 | 10 | 23:29 | 25 |
| რუბინი | 23 | 5 | 9 | 9 | 22:24 | 24 |
| ალანია | 23 | 6 | 5 | 12 | 20:36 | 23 |
| დინამო | 23 | 5 | 7 | 11 | 22:30 | 22 |
| ამკარი | 23 | 4 | 10 | 9 | 21:35 | 22 |
| ყუბანი | 23 | 4 | 9 | 10 | 20:31 | 21 |
| როტორი | 23 | 3 | 6 | 14 | 20:42 | 15 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

**ინგლისი. ჩემპიონატი. VIII ტური**
**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.45 | 101 | მილუოლი-დერბი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |

**იტალია. სერია A. III ტური**
**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 001 | ატალანტა-ინტერი | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 22.30 | 002 | ბრეშა-ლაციო | 2,9 | 2,9 | 2,45 | 1,45 | 1,32 | 1,32 |
| 22.30 | 003 | კალიარი-სიენა | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 22.30 | 004 | კიევო-უდინეზე | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| 22.30 | 005 | მილანი-მესინა | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| 22.30 | 006 | პალერმო-ფიორენტინა | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 22.30 | 007 | პარმა-ბოლონია | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 22.30 | 008 | რეჯინა-ლივორნო | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 22.30 | 009 | რომა-ლეჩე | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 22.30 | 010 | სამპდორია-იუვენტუსი | 4,4 | 3,1 | 1,8 | 1,81 | 1,27 | 1,13 |

**იტალია. სერია B. III ტური**
**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 229 | სალერნიტანა-ტრიესტინა | 2,1 | 2,6 | 4,0 | 1,16 | 1,37 | 1,57 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. IV ტური**
**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 012 | ალბასეტე-მალიორკა | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 23.00 | 013 | მალაგა-ნუმანსია | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.00 | 014 | სოსიედადი-რასინგი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 23.00 | 015 | ბეტისი-ბილბაო | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 23.00 | 016 | ლევანტე-ატლეტიკო | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 23.00 | 017 | ხეტაფე-ესპანიოლი | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 23.00 | 018 | ვილიარეალი-სევილია | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 23.30 | 019 | დეპორტივო-ვალენსია | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 020 | ბარსელონა-სარაგოსა | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. VII ტური**
**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 284 | რენი-მარსელი | 2,4 | 3,0 | 2,9 | 1,33 | 1,31 | 1,47 |
| 22.30 | 285 | ბასტია-ბორდო | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 22.30 | 286 | კაენი-სტრასბური | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 22.30 | 287 | ისტრი-აიაჩო | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 22.30 | 288 | ლანსი-პსჟ | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 22.30 | 289 | მეცი-ნიცა | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 22.30 | 290 | მონაკო-ნანტი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 22.30 | 291 | სტ.ეტიენი-ოსერი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 22.30 | 292 | სოშო-ლილი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. IX ტური**
**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 311 | ანჟე-ნიორი | 1,95 | 2,7 | 4,4 | 1,13 | 1,35 | 1,67 |
| 22.30 | 312 | შატორუ-რეიმსი | 2,15 | 2,7 | 3,6 | 1,19 | 1,34 | 1,54 |
| 22.30 | 313 | მონპელიე-კრეტეი | 1,8 | 2,8 | 4,8 | 1,09 | 1,3 | 1,76 |
| 22.30 | 314 | ტრუა-ამიენი | 2,45 | 2,7 | 3,0 | 1,28 | 1,34 | 1,42 |

**პორტუგალია. სუპერლიგა. I ტური**
**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 281 | პორტუ-ლეირია | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |

**შვეიცარია. სუპერლიგა. IX ტური**
**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 392 | გრასჰოპერი-აარაუ | 1,6 | 3,4 | 4,8 | 1,08 | 1,2 | 1,99 |
| 21.30 | 393 | შაფჰაუზენი-ციურიხი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 21.30 | 394 | სტ.გალენი-სერვეტი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 21.30 | 395 | თუნი-ბაზელი | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| 21.30 | 396 | ქსამაქსი-იანგ ბოიზი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

**შვეიცარია. ჩელენჯლიგა. IX ტური**
**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 407 | ლუცერნი-ვილი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 21.30 | 408 | მეირინი-ბოლმი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 21.30 | 409 | ვადუცი-ბელინცონა | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,21 | 1,67 |
| 21.30 | 410 | ვინტერთური-შო დე ფონი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 21.30 | 411 | ივერდონი-ბადენი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| 21.30 | 412 | კიასო-სიონი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| 21.30 | 413 | კონკორდია-ბულე | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 21.30 | 414 | ლუგანო-ვოლენი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |

**დანია. სუპერლიგა. IX ტური**
**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 426 | ოლბორგი-რანდერსი | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |
| 21.00 | 427 | ბრიონდბიუ-ნორდსიელანდი | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |
| 21.00 | 428 | ესბიერგი-ოდენსე | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 21.00 | 429 | კოპენჰაგენი-ორჰუსი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| 21.00 | 430 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| 21.00 | 431 | სილკებორგი-ჰერფიოლგე | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |

**დანია. I დივიზიონი. გადადებული მატჩი**
**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 433 | აკადემისკი-ფრემი | 2,4 | 3,4 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,4 |

**შვედეთი. ალსვენსკა. XXI ტური**
**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 451 | ტრელებორგი-ჰალმსტადი | 4,4 | 3,4 | 1,7 | 1,91 | 1,22 | 1,13 |
| 21.00 | 452 | ჰამარბი-იორგრიტე | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 21.00 | 453 | ლანდსკრონა-სუნდსვალი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 454 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 21.00 | 455 | ელფსბორგი-გიოტებორგი | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| 21.00 | 456 | იორებრო-მალმიო | 3,6 | 3,3 | 1,85 | 1,72 | 1,22 | 1,18 |
| 22.00 | 457 | აიკ-იურგორდენი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XXV ტური**
**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 504 | ალიანსი-ტამპერე | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,32 | 1,26 | 1,47 |

**არგენტინა. აპერტურა. VII ტური**
**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.10 | 625 | ხიმნასია-ინდეპენდიენტე | 2,15 | 3,1 | 3,1 | 1,26 | 1,26 | 1,55 |
| 22.30 | 626 | ლანუსი-კოლონი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 00.20 | 627 | ბოკა ხუნიორსი-ველესი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 02.30 | 628 | არსენალი-რივერ პლეიტი | 3,3 | 3,1 | 2,05 | 1,59 | 1,26 | 1,23 |
| 03.00 | 629 | ალმაგრო-ბანფილდი | 2,45 | 3,0 | 2,6 | 1,34 | 1,26 | 1,39 |
| 03.00 | 630 | ოლიმპო-როსარიო | 2,25 | 3,0 | 3,0 | 1,28 | 1,28 | 1,5 |
| 03.00 | 631 | კილმესი-არგენტინოს ხუნიორსი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |

### შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03.00 | 632 | სან ლორენსო-ჰურაკანი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 01.30 | 633 | რასინგი-ესტუდიანტესი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 03.30 | 634 | ნიუელსი-ინსტიტუტო | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |

**ინგლისი. ლიგის თასი. II ეტაპი**

**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.45 | 714 | ასტონ ვილა-ქპრ | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 22.45 | 715 | ბლექბერნი-ბორნმუთი | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |
| 22.45 | 716 | ბოსტონი-ფულემი | 5,3 | 3,5 | 1,55 | 2,1 | 1,19 | 1,07 |
| 22.45 | 717 | ბრისტოლი-ევერტონი | 4,0 | 3,3 | 1,75 | 1,8 | 1,21 | 1,14 |
| 22.45 | 718 | ქოვენთრი-უენსდი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 22.45 | 719 | ნორთჰემპტონი-საუთჰემპტონი | 5,0 | 3,4 | 1,6 | 2,02 | 1,21 | 1,08 |
| 22.45 | 720 | ნოტინგემი-როტერჰემი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 22.45 | 721 | ოლდემი-ტოტენჰემი | 6,0 | 3,8 | 1,45 | 2,32 | 1,16 | 1,04 |

**შოტლანდია. ლიგის თასი. III ეტაპი**

**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 726 | დანფერმლაინი-პარტიკი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 22.45 | 727 | აბერდინი-რეინჯერსი | 4,6 | 3,4 | 1,65 | 1,95 | 1,21 | 1,11 |
| 22.45 | 728 | ალბიონი-ჰიბერნიანი | 9,0 | 5,3 | 1,2 | 3,33 | 1,05 | 1 |
| 22.45 | 729 | ჰართსი-კილმარნოკი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 22.45 | 730 | ინვერნესი-მოზერუელი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |

**გერმანია. თასი. 1/16 ფინალი**

**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 739 | ბაიერნი(მ)-ალემანია | 3,2 | 3,3 | 2,0 | 1,62 | 1,23 | 1,24 |
| 21.00 | 740 | აინტრახტი-ფიურტი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 21.00 | 741 | კოტბუსი-ჰანოვერი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 21.00 | 742 | ბრაუნშვაიგი-ჰერტა | 5,6 | 3,6 | 1,5 | 2,19 | 1,18 | 1,05 |
| 21.00 | 743 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 21.00 | 744 | ობერჰაუზენი-შტუტგარტი | 6,0 | 3,8 | 1,45 | 2,32 | 1,16 | 1,04 |
| 21.30 | 745 | კიოლნი-ჰანზა | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 22.00 | 746 | დორტმუნდი-უნტერჰახინგი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 22.30 | 747 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |

**ჰოლანდია. თასი. II ეტაპი**

**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 755 | როდა-ექსელსიორი | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 22.00 | 756 | გრააფსხაპი-იგლსი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| 22.00 | 757 | დენ ჰააგი-ზვოლე | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 22.00 | 758 | გრონინგენი-ბრედა | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 22.00 | 759 | ნაიმეგენი-როზენდალი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |

**ნორვეგია**

**თასი. 1/2 ფინალი**

**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 763 | სტაბეკი-ბრანი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 764 | ლინი-ლილესტრომი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |

**უეფას თასი. III შესარჩევი ეტაპი**

**I მატჩები**

**22 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 768 | მაკაბი(ფ.თ)-ჰერენვენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5401 | ატალანტა-ინტერი | 2,4 | 1,6 |
| 5402 | ბრეშა-ლაციო | 2,0 | 1,8 |
| 5403 | კალიარი-სიენა | 1,7 | 2,2 |
| 5404 | კიევო-უდინეზე | 1,8 | 2,0 |
| 5405 | მილანი-მესინა | 1,1 | 5,0 |
| 5406 | პალერმო-ფიორენტინა | 1,7 | 2,2 |
| 5407 | პარმა-ბოლონია | 1,65 | 2,3 |
| 5408 | რეჯინა-ლივორნო | 1,7 | 2,2 |
| 5409 | რომა-ლეჩე | 1,35 | 3,2 |
| 5410 | სამპდორია-იუვენტუსი | 2,3 | 1,65 |
| 5412 | ალბასეტე-მალიორკა | 1,8 | 2,0 |
| 5413 | მალაგა-ნუმანსია | 1,6 | 2,4 |
| 5414 | სოსიედადი-რასინგი | 1,55 | 2,5 |
| 5415 | ბეტისი-ბილბაო | 1,8 | 2,0 |
| 5416 | ლევანტე-ატლეტიკო | 1,95 | 1,85 |
| 5417 | ხეტაფე-ესპანიოლი | 1,95 | 1,85 |
| 5418 | ვილიარეალი-სევილია | 1,8 | 2,0 |
| 5419 | დეპორტივო-ვალენსია | 1,85 | 1,95 |
| 5420 | ბარსელონა-სარაგოსა | 1,25 | 3,7 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5101 | ატალანტა-ინტერი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5102 | ბრეშა-ლაციო | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,2 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5103 | კალიარი-სიენა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,2 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5104 | კიევო-უდინეზე | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5105 | მილანი-მესინა | 1,4 | 20,0 | 50,0 | 3,5 | 6,5 | 20,0 | 25,0 | 20,0 | 20,0 |
| 5106 | პალერმო-ფიორენტინა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,2 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5107 | პარმა-ბოლონია | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,2 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5108 | რეჯინა-ლივორნო | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,2 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5109 | რომა-ლეჩე | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 5,0 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5110 | სამპდორია-იუვენტუსი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 5112 | ალბასეტე-მალიორკა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5113 | მალაგა-ნუმანსია | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5114 | სოსიედადი-რასინგი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5115 | ბეტისი-ბილბაო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5116 | ლევანტე-ატლეტიკო | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5117 | ხეტაფე-ესპანიოლი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5118 | ვილიარეალი-სევილია | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5119 | დეპორტივო-ვალენსია | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5120 | ბარსელონა-სარაგოსა | 1,7 | 12,0 | 30,0 | 3,5 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5501 | ატალანტა-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5502 | ბრეშა-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5503 | კალიარი-სიენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | კიევო-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5505 | მილანი-მესინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | პალერმო-ფიორენტინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | პარმა-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | რეჯინა-ლივორნო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | რომა-ლეჩე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | სამპდორია-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | ალბასეტე-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | მალაგა-ნუმანსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | სოსიედადი-რასინგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ბეტისი-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ლევანტე-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | ხეტაფე-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | ვილიარეალი-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | დეპორტივო-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | ბარსელონა-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5301 | ატალანტა-ინტერი | 1,65 | 1,96 |
| 5302 | ბრეშა-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 5303 | კალიარი-სიენა | 1,7 | 1,9 |
| 5304 | კიევო-უდინეზე | 1,65 | 1,95 |
| 5305 | მილანი-მესინა | 1,8 | 1,8 |
| 5306 | პალერმო-ფიორენტინა | 1,7 | 1,9 |
| 5307 | პარმა-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 5308 | რეჯინა-ლივორნო | 1,65 | 1,95 |
| 5309 | რომა-ლეჩე | 1,7 | 1,9 |
| 5310 | სამპდორია-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 5312 | ალბასეტე-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 5313 | მალაგა-ნუმანსია | 1,65 | 1,95 |
| 5314 | სოსიედადი-რასინგი | 1,7 | 1,9 |
| 5315 | ბეტისი-ბილბაო | 1,65 | 1,95 |
| 5316 | ლევანტე-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 5317 | ხეტაფე-ესპანიოლი | 1,65 | 1,95 |
| 5318 | ვილიარეალი-სევილია | 1,65 | 1,95 |
| 5319 | დეპორტივო-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| 5320 | ბარსელონა-სარაგოსა | 1,8 | 1,8 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5201 | ატალანტა-ინტერი | 1,8 | 1,8 |
| 5202 | ბრეშა-ლაციო | 1,7 | 1,9 |
| 5203 | კალიარი-სიენა | 1,7 | 1,9 |
| 5204 | კიევო-უდინეზე | 1,75 | 1,85 |
| 5205 | მილანი-მესინა | 2,1 | 1,55 |
| 5206 | პალერმო-ფიორენტინა | 1,7 | 1,9 |
| 5207 | პარმა-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 5208 | რეჯინა-ლივორნო | 1,75 | 1,85 |
| 5209 | რომა-ლეჩე | 2,0 | 1,6 |
| 5210 | სამპდორია-იუვენტუსი | 1,75 | 1,85 |
| 5212 | ალბასეტე-მალიორკა | 1,75 | 1,85 |
| 5213 | მალაგა-ნუმანსია | 1,8 | 1,8 |
| 5214 | სოსიედადი-რასინგი | 1,8 | 1,8 |
| 5215 | ბეტისი-ბილბაო | 1,8 | 1,8 |
| 5216 | ლევანტე-ატლეტიკო | 1,75 | 1,85 |
| 5217 | ხეტაფე-ესპანიოლი | 1,75 | 1,85 |
| 5218 | ვილიარეალი-სევილია | 1,7 | 1,9 |
| 5219 | დეპორტივო-ვალენსია | 1,75 | 1,85 |
| 5220 | ბარსელონა-სარაგოსა | 1,95 | 1,65 |

## I ტაიმის შედეგები

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5001 | ატალანტა-ინტერი | 5,0 | 2,05 | 2,2 | | | |
| 5002 | ბრეშა-ლაციო | 3,5 | 1,05 | 2,9 | | | |
| 5003 | კალიარი-სიენა | 2,35 | 1,95 | 4,8 | | | |
| 5004 | კიევო-უდინეზე | 2,8 | 1,95 | 3,6 | | | |
| 5005 | მილანი-მესინა | 1,27 | 3,8 | 9,0 | | | |
| 5006 | პალერმო-ფიორენტინა | 2,35 | 1,95 | 4,8 | | | |
| 5007 | პარმა-ბოლონია | 2,25 | 1,95 | 5,3 | | | |
| 5008 | რეჯინა-ლივორნო | 2,35 | 1,95 | 4,8 | | | |
| 5009 | რომა-ლეჩე | 1,85 | 2,3 | 5,6 | | | |
| 5010 | სამპდორია-იუვენტუსი | 5,0 | 2,05 | 2,2 | | | |
| 5012 | ალბასეტე-მალიორკა | 2,7 | 2,05 | 3,5 | | | |
| 5013 | მალაგა-ნუმანსია | 2,2 | 2,05 | 5,0 | | | |
| 5014 | სოსიედადი-რასინგი | 2,15 | 2,1 | 5,0 | | | |
| 5015 | ბეტისი-ბილბაო | 2,7 | 2,05 | 3,4 | | | |
| 5016 | ლევანტე-ატლეტიკო | 3,3 | 2,05 | 2,8 | | | |
| 5017 | ხეტაფე-ესპანიოლი | 3,3 | 2,05 | 2,8 | | | |
| 5018 | ვილიარეალი-სევილია | 2,5 | 2,05 | 3,8 | | | |
| 5019 | დეპორტივო-ვალენსია | 2,8 | 2,05 | 3,3 | | | |
| 5020 | ბარსელონა-სარაგოსა | 1,5 | 3,1 | 7,0 | | | |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%


## კროკოს ბიუროთა მისამართები

CROCO BOOKMAKERS კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი - კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

# რომ ჩამოვიდე, სად წავიდე?

## ჩომაგოლი გულით ყოველთვის საქართველოშია



*რაში, რაში და წყალბურთში კი ნაღდად გვყავს ქართველებს მსოფლიოს უკაშკაშესი ვარსკვლავი — რეზო ჩომახიძე ლამის ლეგენდად ქცეული კაცია. რუსები მასზე ჭკუას კარგავენ და არც არის გასაკვირი — რეზომ ხომ მათ ლამის მარტომ ჩაუჩხრიალა ოლიმპიური ბრინჯაო. ათენში საუკეთესო ბომბარდირიც გახდებოდა, თუმც ცალკე სუსტმა თანაგუნდელებმა დაალალატეს, ცალკეც მსაჯებმა შეუშალეს ხელი...*

*31 წლის ჩომახიძე საქართველოსთვის დიდი ტკივილიცაა. რა ქნას, ძალიან სურს თავისი ხერხი და ღონე სამშობლოს მოახმაროს, მაგრამ აქ წყალბურთელთა ეროვნული ნაკრების შექმნა „ქრისტეს პერანგად“ აქციეს. მაინც „არ ისვენებს“, ხან ბურთები ჩამოაქვს, ხან ფორმები, ნათესავ-მეგობრებსაც არ ივიწყებს. რეზოს გუშინ „ლაგუნა ვერეზე“ შევხვდით...*

— სექტემბრის დასაწყისში ჩამოვედი, თუმც თბილისში დიდხანს არ გავჩერებულვარ. ჯერ მშობლიურ ქუთაისში ვიყავი, ზღვაზეც დავისვენე და მთაშიც, ახლა კი აქ ვვარჯიშობ ყოველ დილით.

— ოლმპიადით დავიწყოთ: ბრინჯაოს მედალმა გაგახარა თუ უფრო მეტს ელოდი?

— სიმართლე გითხრა, მესამე ადგილსაც არ ველოდი. რუსეთს შედარებით სუსტი ნაკრები ჰყავს. ეს შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზეც გამოჩნდა — მე-10 ადგილზე გავედით. რეალურად ხუთ უძლიერეს ნაკრებს შორის ულაპარაკოდ მოვხვდებით, მაგრამ ბოლო წლებში გაგვიჭირდა. ამხანაგურ მატჩებშიც ძალიან მდარე შედეგები ვაჩვენეთ.

— რუსეთს წყალბურთის ტრადიციები არასოდეს აკლდა, ახლა დროებით კრიზისშია...

— ასეა. წარმოიდგინეთ, საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული, ერთი თაობა — 1973 წელს დაბადებულები ვთამაშობთ ნაკრებში. ათიოდე წლის წინ რამდენიმე საწყალბურთო სკოლა დაიშალა, ძლიერი ახალგაზრდები არ მოდიან და კონკურენცია საერთოდ არ იგრძნობა. მოკლედ, შეუცვლელების იარლიყი მოგვაკრეს...

— მესამე ადგილს არ ველოდიო და ნახევარფინალში მსაჯს სამი გაფრთხილების გამო მეორე მეოთხედში რომ არ გაეძევებინე, ფინალში გასვლაც რეალური იქნებოდა...

— ფინალში გასვლა კი არა, ჩემპიონობაც შეიძლებოდა. უნგრეთთან რომ გამაძევეს, უკვე ცხადი გახდა, ვინ მოიგებდა. რუსებს ჩემს გარდა ნორმალური ცენტრალური თავდამსხმელი არ ჰყავთ და ჩვენი მწვრთნელიც მიხვდა, რომ საქმე წახდენილი იყო. უკვე ჩავლილი ამბავია, მაგრამ მსაჯი მაგრად მიეხმარა უნგრეთს: არ ვიცი, სად დაინახა ჩემი უხეშობა, მანამდე მთელი ოლიმპიადის განმავლობაში ერთი გაფრთხილებაც კი არ მიმიღია...

— ისე, უნგრელებმა ფინალშიც წაგებული თამაში მოუტრიალეს სერბებს...

— ეს მატჩი სერბებმა წააგეს, რაღაცნაირად უგულოდ ითამაშეს და ბოლო მეოთხედში ორბურთიანი ფორა გაანიავეს. გული მწყდება, უნგრეთთან რომ მოგვეგო, მგონი, ჩემპიონებიც გავხდებოდით...

— პეკინის ოლიმპიადაზე აღარ აპირებ თამაშს?

— არ ვიცი, რამდენს გაუძლებს ჩემი თაობა, 2008 წელს უკვე ბებერი ვიქნები. ისე, მინიმუმ ორ წელიწადს ვითამაშებ და მერე ვნახოთ...

— შენს კლუბზეც ვთქვათ, ზაგრების „მლადოსტმა“ წლეულს ჩემპიონთა ლიგაში ვერ ივარგა...

— ლიგაში ოთხ გუნდს შორის ვერ მოვხვდით, უფრო უარესად კი ხორვატიის ჩემპიონატში ვითამაშეთ. თავიდან ლიდერები ვიყავით, მაგრამ ფინანსური კრიზისი დაიწყო და ამას ექვსი მოთამაშის წასვლა მოჰყვა. ახალი სეზონიდან „მლადოსტში“ აღარ ვიქნები, რუსული ჩეხოვის „შტურმთან“ უკვე გავაფორმე კონტრაქტი. „შტურმი“ რუსეთის წამყვანი კლუბია, ევროპული საზომითაც საკმაოდ ძლიერია და წლეულს ჩემპიონთა ლიგაში გამოვალთ.

— ახლა ჩვენს უმთავრეს ტკივილზეც ვილაპარაკოთ. რაც ჩამოხვედი, საქართველოს ნაკრების შექმნაზე და შენს დაბრუნებაზე ხომ არ ჩამოუგდიათ სიტყვა?

— არა, ლაპარაკიც არ ყოფილა. ყოველთვის ვამბობ, ელემენტარული პირობები მაინც რომ იყოს, ჩამოვიდოდი-მეთქი. საქართველოში ერთი კლუბიც კი არ არსებობს და რომელ ნაკრებზეა საუბარი. აქ რომ ჩამოვიდე, რა გავაკეთო, სად ვითამაშო? მე მგონი, კახა კალაძის თბილისის „დინამოში“ ან „ვიტ ჯორჯიაში“ მიპატიჟება არავის მოუვა აზრად.

— შენს სიტყვას სხვა წონა აქვს და ხომ არ გიფიქრია, ნაკრების შექმნის თაობაზე ბიზნესმენებს ან მთავრობის წარმომადგენლებს რომ შეხვედროდი?

— ბევრჯერ მიფიქრია, მაგრამ სანამ მოთამაშე ვარ, ამას ვერ გავაკეთებ. ვიცი, ზოგიერთები ამას არასწორად გაიგებენ, თავისი ინტერესები აქვს და რაღაცის გამორჩენა სურსო. კარიერის დასრულების შემდეგ კი აუცილებლად მექნება შეხვედრები.

— თუ მოკლე ხანში ეროვნული ნაკრები არ შეიქმნა, სოსო მაისურაძის ახალგაზრდული ნაკრებიც დაიშლება...

— რა თქმა უნდა. უფროს ასაკში რომ გადავლენ, სადღა უნდა ითამაშონ. გული მწყდება, რომ, საქართველოს, მდიდარი ტრადიციების ქვეყანას ფული პრობლემა აქვს. მაგალითად, ამერიკაში, თურქეთსა თუ დიდ ბრიტანეთში წყალბურთში დიდ თანხას დებენ, მაგრამ იქაურებს სპორტის ეს სახეობა არ აინტერესებთ, არც დონე აქვთ და არც ტრადიციები. ჩვენთან კი პირიქით, გულშემატკივრებს წყალბურთი ენატრებათ, უამრავი ბავშვი მოდის სავარჯიშოდ, მაგრამ მათ განვითარება სჭირდებათ. მე ვიცი ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების ძალა და ლეგიონერებიც რომ დავმატებოდით, საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპაში ძალიან ბევრს აჯობებდა, მაგრამ...

— როგორც ვიცი, საქართველოში ბურთები და ქუდები ჩამოგაქვს ხოლმე ახალგაზრდებისთვის...

— კი, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ბურთებითა და ფორმებით ნაკრების შექმნა ხომ სასაცილოა...

— ათენში ქართველ ოლიმპიელებთან შეხვედრას თუ ახერხებდი?

— ისე ხშირად ვერა, როგორც სიდნეიში, თუმც კონტრაქტი შეძლებისდაგვარად მქონდა.

— აქ იშვიათად გიწევს ჩამოსვლა და ალბათ, ყველა ახლობლის მონახულებას ვერ ახერხებ...

— ძალიან მენატრება აქაურობა. მიუხედავად იმისა, რომ 11 წელია, საზღვარგარეთ ვთამაშობ, გულით მაინც საქართველოში ვარ. იცით, ჩამოსვლისას რაღაც სხვანაირი გრძნობა დამეუფლა, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყნას გამოცოცხლება ეტყობა. კარიერის დასრულების შემდეგ უეჭველად აქ ვიცხოვრებ — ამაზე ორი აზრი არც აქამდე მქონია.

**ილია ნანობაშვილი**



# ქუდზე კაცი

## ჯონსმა ავსტრალია შემოიკრიბა



„ვოლაბებს“ დამტვრეული მეტ როჯერსი გამოუჯანმრთელდათ

**ავსტრალიის** სარაგბო ნაკრები თვენახევარში ევროპაზე გაილაშქრებს და ჩრდილოელებს რამდენიმე ძლებისდამლეწ ტესტ-მატჩში შეერკინება. 6 ნოემბერს „ვოლაბები“ შოტლანდიელებს მიუხდებიან, ერთ კვირაში ექვსი ერის ტრიუმფატორ საფრანგეთს, ხოლო კიდევ კვირის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისელების დამარცხებას შეეცდებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ნოემბრამდე დიდი დროა, ავსტრალიელთა მწვრთნელმა ედი ჯონსმა უკვე დაასახელა ის 28 კაცი, ვინც ჩრდილოეთ ნახევარსფეროს აკლებას შეეცდება.

გამოცდილი ზორბა ფორვარდი ნათან შარპი მხრის ტრავმის გადამკიდე „ვოლაბებს“ ვერ დაეხმარება. მის ადგილს „ბრამბიზის“ მეორეხაზელი მარკ ჩიშოლმი დაიკავებს. სამაგიეროდ, ტრავმები მოიშუშეს ნამსოფლიოთასარმა უკანახაზელებმა მეტ როჯერსმა და ელტონ ფლეტლიმ და ჯონსს ამათი დიდი იმედი აქვს.

ნაკრებში ერთი-ორი ახალწვეულიც გამოჩნდა. სტივენ ჰოილის ანგარიშზე ჯერ მხოლოდ ზე-12-ში ნათამაშები 4 მატჩია ახალი სამხრეთ უელსის გუნდ „ვარათაზის“ შემადგენლობაში, თუმცა ჯონსი ენდო და „ვოლაბებში“ დაუძახა. ესაა, ძირითად შემადგენლობაში მისი მოხვედრა ცოტა საეჭვოა. კიდევ ერთი ახალწვეული გახლავთ „ქვინსლენდ რედის“ 20 წლის შუამარბი დრიუ მიტჩელი.

ედი ჯონსი ოპტიმისტურადაა განწყობილი და ამბობს, გამოცდილ მორაგბეთა გვერდით ნიჭიერი ახალგაზრდების დგომამ კარგი შედეგი უნდა მოგვიტანოსო.

**ლადო ფულუკიძე**

### ვოლაბები

შერკინება: ალისტერ ბაქსტერი, ბრენდან ქენონი, მეტ დანინგი, მარკ ჩიშოლმი, ჯასტინ ჰარისონი, ნიკ ჰენდერსონი, დევიდ ლაიონზი, ჯერემი პოლი, სტივენ ჰოილსი, რედიკ სამო, ჯორჯ სმიტი, დანიელ ვიკერმანი, ფილ ვუ, კრის ვაიტეკერი, ბილ იანგი, ჯონ რო

უკანა ხაზი: ჯორჯ გრეგანი (კაპიტანი), ელტონ ფლეტლი, მარკ ჯერარდი, მეტ ჟიტო, სტივენ ლარქემი, კრის ლათამი, დრიუ მიტჩელი, სტირლინგ მორტლოკი, კლაიდ რეთბთუნი, მეტ როჯერსი, ვენდელ სეილორი, ლოუთ ტუკირი



ლევან მოსეშვილი კალათბურთში ავიაციით ბრუნდება

*სასიხარულო და, ცოტა არ იყოს, ძნელად დასაჯერებელი ამბავი გაჩანაგებულ ქართულ საკლუბო კალათბურთში: ბოლო ხანებში სულ იმაზე გვიხდებოდა წერა, რომელი კლუბი დაიშალა და ვინ აზერბაიჯანს თუ ირანს შეაფარა თავი. დღეს კი ახალი გუნდის დაბადების ამბავს გამცნობთ — მე-14 ეროვნულ ჩემპიონატში სხვებთან ერთად ჩაებმება „თბილავიამშენის" გუნდიც, რომელსაც ასევე ერქმევა — „თბილავიამშენი".*

*ამ სტატიის დაწყება ასეც შეგვეძლო: სამწვრთნელო კარიერას უბრუნდება ძველი და ახალი „დინამოს" სახე, ბატონი ლევან მოსეშვილი. მიხვდებოდით, „თბილავიამშენს" ლევან მოსეშვილი გაწვრთნის და საერთოდაც, საავიაციო ქარხნის გუნდი „დინამოს" ფესვებიდან ამოიზარდა. „თბილავიამშენში" მოსეშვილის თანაშემწე იქნება მისი ძველი დინამოელი თანამებრძოლი ვაჟა მხეიძე და კლუბის დირექტორიც მათი „ფერისა" იქნება — სპორტსაზოგადოება „დინამოსა" და დილმის ბაზის ყოფილი დირექტორი ლევან ჭალისური.*

*ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ამ ხალხმა გუნდის შენება დინამოელებითვე დაიწყეს — თითქმის უკვე გადაწყვეტილია, რომ „თბილავიამშენში" ბურთს დავით თორთლაძე გაათამაშებს და მალე ალბათ მოსეშვილის ძველი ფავორიტი ირაკლი ხოშტარიაც ავიამაისურას მოირგებს. „თბილავიამშენმა" უკვე შეუკვეთა ფორმა და ახლა სახელფასო ფონდის განსაზღვრაც მიმდინარეობს.*

*მოკლედ, დიდი საქმე წამოიწყო „თბილავიამშენის" ხელმძღვანელმა პანტიკო თორდიამ, ვისი სამადლობელი სიტყვებითაც დაიწყო ჩვენთან საუბარი ავიატორთა მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა...*

# დიდი ავიაცია გვიბრუნდება

## თბილავიამშენი კალათბურთის მშენებლობაში

— ოფიციალურად გუნდი ჯერ არ შექმნილა, მაგრამ ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. „თბილავიამშენის" ქარხნის დირექტორ ბატონ პანტიკო თორდიასგან უკვე მივიღეთ თანხმობა გუნდის გაკეთებასთან დაკავშირებით და მთავარიც ესაა. დიდი მადლობა მას, ქართული კალათბურთისთვის ასეთ ავბედით ჟამს რომ გვერდში დაგვიდგა.

**— როდის ესაუბრეთ თორდიას და კონკრეტულად რა გითხრათ?**

— ათი დღის წინ ველაპარაკე და შევთავაზე მისი ქარხნის ბაზაზე საკალათბურთო გუნდის ჩამოყალიბება. ბატონ პანტიკოს გავახსენე ის დრო, როცა „თბილავიამშენს" საქართველოს ჩემპიონატში ჰყავდა გუნდი, „შევარდენი", რომელიც მებრძოლი და მეგობრული იყო, თუმც სერიოზული წარმატებისთვის არ მიუღწევია. ჰოდა, პირობა მივეცი, თუ ახლაც მოისურვებდა გუნდის შექმნას, მე მას გარკვეული წარმატების მიღწევაში დავეხმარებოდი — მინიმუმ პლეი ოფში გავიყვანდი.

**— დარწმუნებული ხართ, რომ იპოვით ისეთ ძლიერ მოთამაშეებს, რომლებიც წარმატების მიღწევაში დაგეხმარებიან? საცაა, სეზონიც დაიწყება...**

— ეს არაა პრობლემა. მთავარია, გუნდს მყარი ბაზა გააჩნდეს და მოთამაშეებიც მოვლენ. ბატონ პანტიკოსთან ყველაფერზე ვისაუბრე და რომ ვკითხე, დავიწყო თუ არა გუნდის შეკრება-მეთქი, მიპასუხა, დღეიდანვე შეუდექით საქმესო.

**— ესე იგი, გადაწყვეტილია, რომ მომავალი სეზონიდან საქართველოს ჩემპიონატში ახალი გუნდი ითამაშებს.**

— დიახ, უკვე ფორმაც შევუკვეთეთ და ახლა სახელფასო ფონდს ვადგენთ.

**— რომელ მოთამაშეებს დაადგით თვალი?**

— ახლა არაერთთან მიმდინარეობს მოლაპარაკება და ჯერ არ მინდა კონკრეტული გვარების დასახელება. ერთს კი გეტყვით, რომ დავით თორთლაძე „თბილავიამშენში" ითამაშებს.

**— გავიგეთ, ირაკლი ხოშტარიას შემატებაც გსურთ, რომელსაც, როგორც დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდში ამბობენ, „დინამოსთან" კონტრაქტი აკავშირებს.**

— არ ვიცი, აკავშირებს თუ არა ხოშტარიას ვინმესთან კონტრაქტი, მაგრამ მას ამას წინათ ველაპარაკე და ჩვენთან თამაშის სურვილი გამოთქვა. ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, ეგებ ის „დინამოშიც" დარჩეს. „თბილავიამშენის" საბოლოო შემადგენლობა უახლოეს დღეებში გაირკვევა.

**— ვარჯიშის დაწყებას როდიდან ვარაუდობთ?**

— მალე შემადგენლობა მეცოდინება და მომავალი კვირიდან ალბათ ვარჯიშსაც შევუდგებით.

**— ამბიციებზე აღარ გკითხავთ...**

— ვნახოთ, რა შემადგენლობა შეიკრიბება. ისე, გუნდს მხოლოდ მონაწილეობისთვის არ ვაკეთებთ, შედეგისთვისაც ვიბრძოლებთ.

**ირაკლი პერტაია**



„თბილავიამშენის" ირაკლი ხოშტარიას ეპატიჟება



### ბათუმი. LADIES OPEN
### თიხნარი. საპრიზო 50 000 $

# ანა და ბათუმელები

**გუშინ** ბათუმში ქალთა ტრადიციული ტურნირი „ლედიზ ოუფენი" გაიხსნა. წლეულს ბათუმს 12 ქვეყნის წარმომადგენლები სტუმრობენ და წინა წლებთან შედარებით ქართველი მონაწილეც მეტია. გამოჩნდნენ იმედისმომცემი გოგონებიც, რომელთაგან გამოსარჩევი არიან კვალიფიკაციაგავლილი სალომე ჩაჩხუნაშვილი და ანა ჯულელი.

ტურნირზე პირველ ნომრად განთესილია რუსეთის მოქალაქე ანა ჩაკვეტაძე, რომელიც დიდ ჩოგბურთში წლეულს გამოჩნდა და იმდენი მოახერხა, მსოფლიო რეიტინგის პირველ ასეულში შევიდა. ამჟამად ჩაკვეტაძე რეიტინგში 90-ე ადგილზეა. მეორე ნომერია ჩვენებური ტურნირების ხშირი სტუმარი, უკრაინელი ალიონა ბონდარენკო. მან ბათუმში 2002 წელს ფინალსაც უწია.

„მართალია, საპრიზო ფონდი შემცირდა, თანაც ქართულ-ოსური პრობლემებისა და ბევრ სხვა მიზეზთა გამო ბათუმში ჩამოსვლა ბევრმა ჩოგბურთელმა ვერ შეძლო, მაგრამ ტურნირში მაინც საკმაოდ კარგი რეიტინგის მქონე სპორტსმენები მონაწილეობენ" — გვითხრა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლეილა მესხმა.

გუშინ ბათუმურ კორტებზე ორი ქართველი გამოვიდა და ორივემ წააგო. თათია მიქაძემ ანა ბასტრიკოვასთან პირველი სეტის 6:2 მოგების შემდეგ ინიციატივა მეტოქეს დაუთმო და მეორე სეტში 5:7 დამარცხდა. ამას მესამეში 1:6 მოჰყვა. მეორე ქართველი თინათინ ყაულაშვილი 6:7, 4:6 დამარცხდა ელენა ვესნინასთან.

დღეიდან ტურნირს კიდევ ხუთი ქართველი გოგონა დაიწყებს.

**გიორგი მურვანიძე**
***ბათუმიდან***

# შეიგრძენით შარაპოვა

**რუსმა** ჩოგბურთელმა მარია შარაპოვამ პარფიუმერიულ კომპანია „პარლუქს ფრაგრანსთან" გააფორმა კონტრაქტი. შეთანხმების მთავარი პუნქტი ისაა, რომ სუნამო 17 წლის ქერა რუსი გოგონას სახელობისა იქნება — „მარია შარაპოვა". როგორც ამბობენ, სუნამო მომავალი წლიდან გავა გაყიდვაში. ახლა საკონტრაქტო თანხას არ იკითხავთ? ქალთა ჩოგბურთის სექსგანთიადი ამ საქმეში სამ წელიწადში 5 მილიონ დოლარს აიღებს.

„ეს ჩინებული საშუალებაა ხელოვნებისთვის რაღაცის გასაკეთებლად. მე მომწონს მოდის სამყარო და ახლა უკვე პირად გამოცდილებასაც შევიძენ" — ასე გულუბრყვილოდ განაცხადა უიმბლდონის ნორჩმა ჩემპიონმა. შეგახსენებთ, ადრე მარია შარაპოვამ ასევე სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა მობილური ტელეფონების ფირმა „მოტოროლასთან" და აქედანაც დაახლოებით 5 მილიონი შეუვიდა.

**ილია ნანობაშვილი**



FORMULA1 WORLD CHAMPIONSHIP

წლევანდელი საფორმულო სეზონის გასრულებამდე კიდევ სამი რბოლაა და ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, თუმც გუნდების უმეტესობამ უკვე გამოაცხადა საგაისო შემადგენლობა. მზადაა მომავალი წლის რიგით 56-ე მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარიც, ოღონდ ჯერ დაუმტკიცებელი

# საფორმულო მიდი-მოდი

## იყიდეთ, რა, ჩვენი მწვანე კატები




მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო გაისადაც ფერარელები იქნებიან

შემადგენლობა უცვლელად მხოლოდ „ფერარიმ“ შეინარჩუნა. დანარჩენ საჯინიბოთა ბოსებმა ზოგმა თითო, ზოგმაც ორივე პილოტი დაითხოვა.

მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო ერთმანეთის მხარდამხარ მეექვსე სეზონს ჩაატარებენ. ამასთან, 2005 წლის ჩემპიონატი მიხაელისთვის საიუბილეო, მეათე იქნება „სკუდერიაში“. დიად გერმანელს „წითლებთან“ კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, მერე კი ალბათ დაასრულებს ზღაპრულ საფორმულო მოღვაწეობას. რუბინიო 32 წლისაა და ჯერ პენსიაზე არ ფიქრობს, თანაც კვირას ჩინეთში ალბათ ვიცე-ჩემპიონობას მოიპოვებს, ასე რომ, „ფერარის“ ხელმძღვანელობას მისი საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

გუნდურ პირველობაში ანუ კონსტრუქტორთა თასის გათამაშებაში სადღეისოდ მეორე ადგილზე მყოფ BAR-ს არ დაუკარგავს 24 წლის ჯენსონ ბატონის თავისთან დატოვების იმედი. ერთი თვის წინ „უილიამსში“ ინგლისელი პილოტის გადასვლის გამო ატეხილი სკანდალი ჯერ არ ჩამცხრალა და საქმე დღეს-ხვალ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის საკონტრაქტო კომისიის სხდომაზე განიხილება. ცხადია, სერ ფრენკ უილიამსი ნიჭიერ თანამემამულეს თავისკენ ეწევა, თავად მრბოლსაც „უილიამსისკენ“ მიუწევს გული, იქ ჩემპიონობის შანსი მექნებაო.

დიდი ხმაური მოჰყვა „სამეფო რბოლების“ 1997 წლის ჩემპიონ ჟაკ ვილნევის დაბრუნებას. „რენოს“ მეპატრონე ფლავიო ბრიატორე სეზონის ჩამთავრებას არ დაელოდა და 30 წლის იარნო ტრულისთან კონტრაქტი გაწყვიტა. დარჩენილ სამ ეტაპზე იტალიელს სამი წლით უფროსი ვილნევი შეცვლის. ხოლო მომავალი წლიდან კანადელი ექს-ჩემპიონი პეტერ ზუბერის ბოლიდით იჯირითებს, ტრულიმ კი „ტოიოტას“ მიაშურა.

ერთ-ერთმა აუტსაიდერმა „იაგუარმა“ საგაისოდ ჩემპიონატის მიტოვება გადაწყვიტა, ფინანსურად ველარ ვქაჩავთო. ჯერ კიდევ არის „მწვანე კატების“ ქარავანში დარჩენის იმედი, თუკი მყიდველი გამოჩნდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ფედერაცია კრიზისულ ვითარებაში ჩავარდება, რადგან ათი გუნდი, ანუ რბოლებში 20 მანქანა მინიმალური რაოდენობაა და მაშინ წამყვან საჯინიბოებს, ვთქვათ „ფერარის“, ტრასებზე მესამე ბოლიდის გამოყვანა მოუწევთ.

რაც შეეხება კალენდარს, გაისად წლევანდელზე ერთით მეტი, 19 ეტაპია დაგეგმილი: 2005 წლის 31 ივლისს სტამბოლის მახლობლად პირველად გათამაშდება „თურქეთის დიდი პრიზი“.

**გია ახალაძე**

### 2005 წლის გუნდები და პილოტები

| გუნდი | მრბოლი | ასაკი | ქვეყანა |
|---|---|---|---|
| ფერარი | მიხაელ შუმახერი | 35 | გერმანია |
| | რუბენს ბარიკელო | 32 | ბრაზილია |
| B.A.R-ჰონდა | ჯენსონ ბატონი ? | 24 | დიდი ბრიტანეთი |
| | ტაკუმა სატო | 27 | იაპონია |
| | დევიდ კულჰარდი ? | 33 | დიდი ბრიტანეთი |
| რენო | ფერნანდო ალონსო | 23 | ესპანეთი |
| | ჯანკარლო ფიზიკელა | 31 | იტალია |
| BMW-უილიამსი | ჯენსონ ბატონი ? | 24 | დიდი ბრიტანეთი |
| | მარკ ვებერი | 28 | ავსტრალია |
| მაკლარენ-მერსედესი | კიმი რაიკონენი | 24 | ფინეთი |
| | ხუან-პაბლო მონტოია | 29 | კოლუმბია |
| ზაუბერ-პეტრონასი | ჟაკ ვილნევი | 33 | კანადა |
| | ფელიპე მასა | 23 | ბრაზილია |
| იაგუარ-ფორდი | ? | | |
| ტოიოტა | რალფ შუმახერი | 29 | გერმანია |
| | იარნო ტრული | 30 | იტალია |
| ჯორდან-ფორდი | ნიკ ჰაიდფელდი ? | 27 | გერმანია |
| | ჯორჯო პანტანო ? | 25 | იტალია |
| მინარდი-კოსუორტი | ჯანმარია ბრუნი ? | 23 | იტალია |
| | ზოლტ ბაუმგარტნერი ? | 23 | უნგრეთი |

### წინასწარი კალენდარი

| | |
|---|---|
| 6 მარტი | ავსტრალია |
| 20 მარტი | მალაიზია |
| 3 აპრილი | ბაჰრეინი |
| 17 აპრილი | სან მარინო |
| 24 აპრილი | ევროპა |
| 8 მაისი | ესპანეთი |
| 22 მაისი | მონაკო |
| 5 ივნისი | კანადა |
| 12 ივნისი | აშშ |
| 26 ივნისი | საფრანგეთი |
| 3 ივლისი | დ. ბრიტანეთი |
| 17 ივლისი | გერმანია |
| 31 ივლისი | თურქეთი |
| 21 აგვისტო | უნგრეთი |
| 4 სექტემბერი | ბელგია |
| 11 სექტემბერი | იტალია |
| 25 სექტემბერი | ჩინეთი |
| 9 ოქტომბერი | იაპონია |
| 23 ოქტომბერი | ბრაზილია |



ვუელტა 2004 4 - 26 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა




REUTERS კადრებიდან

მე-16 ეტაპზე გამარჯვება და ამბორი ხოსე ხულიამ გამოიმუშავა

# გუშინ ხულიამ იხულიგნა

„ვუელტას“ დაპყრობის მსურველებს აწი მადრიდამდე, ანუ 26 სექტემბრამდე აღარ შეხვდებათ ასეთი იოლი და უშფოთველი ტრასა. მე-16 ეტაპმა მთლიანად ესტრემადურას მხარის ხრიოკ და ბილიარდის მაგიდასავით გადა სწორებულ ვაკეზე გაიარა და ლამის 200 კილომეტრზე გაჭიმულ გზაზე ველოქარავანს ერთი ხეირიანი აღმართი არ შეხვედრია. ამით მშვენივრადაც ისარგებლეს რობერტო ერასმა, ალეხანდრო ვალვერდემ და „ვუელტას“ სხვა ლიდერებმა და პელოტონიდან არც უცდიათ ცხვირის გამოყოფა. მშვიდად გაიარეს მთელი დისტანცია და ერთი დღის მრბოლები, ვინც იმ დღეს ველოქარავანს მოსწყდა და წინ გაიჭრა, ირონიული ღიმილით გააცილეს. მართალია, საერთო ჩათვლის ლიდერი ერასი ლამის 12 წუთით ჩამორჩა ეტაპის მომგებს, მაგრამ ამან წამითაც ვერ შეარყია მისი პირველობა მთავარ ცხრილში.

პელოტონის წინ მორბენალი კვიცი კი გუშინ არაერთი გამოჩნდა. დაახლოებით 40 კილომეტრის გავლის შემდეგ ექვსმა ისე-რა მრბოლმა ტელევიზორში გამოჩენა მოინდომა და პედლებს დააწვა, შემოგვხედეთ, როგორ არ ვეპუებით კილომეტრებსო. გაქცეულებმა თითქმის მთელი გზა შეხმაწყობილად იარეს და სულ ბოლოს ფინიშამდე ორი კილომეტრით ადრე ამათშიც გამოჩნდა თავის გამოჩენის მსურველი. ალეხანდრო ვალვერდეს 25 წლის თანაგუნდელმა ხოსე ხულიამ ორი კილომეტრით ადრე მოუჩქარა და ჯაფისთვის ეტაპის მოგებითაც დასაჩუქრდა.

**კოტე ჯანგავაძე**

### XI ეტაპი. 21 სექტემბერი. ოლივენსა — კასერესი. 191 კმ

| | |
|---|---|
| 1 ხოსე ხულია (ესპანეთი, კელმე) | 4სთ 19წთ 33წმ |
| 2 ტადეჟ ვალჟავეცი (სლოვენია, ფონაკი) | +12წმ |
| 3 დანილო დი ლუკა (იტალია, საეკო) | +34წმ |
| 20 რობერტო ერასი (ესპანეთი, ლიბერტი სეგუროსი) | +11წთ 14წმ |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1 რობერტო ერასი (ესპანეთი, ლიბერტი სეგუროსი) | 58სთ 35წთ 32წმ |
| 2 ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კელმე) | +5წმ |
| 3 სანტიაგო პერესი (ესპანეთი, ფონაკი) | +1წთ 54წმ |
| 4 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ბანესტო) | +2წთ 2წმ |
| 5 ისიდრო ნოზალი (ესპანეთი, ლიბერტი სეგუროსი) | +3წთ 45წმ |

# ლენსს არმსტრონგს მწვრთნელი უძხილდეს

მაგრად გაება განთქმული ველომრბოლის ლენს არმსტრონგის მწვრთნელი მიკელე ფერარი. თანამედროვე სპორტში დოპინგი პოპულარული თემაა, თუ ვინმე სტიმულატორების ხმარებაზე ან, მით უარესი შენახვაზე ჩავარდა, პრესას რომ თავი დავანებოთ, ანტიმედოპინგეებს იოლად ვერ დააღწევს თავს. ვერც ფერარი ასცდა სკანდალს. პროკურორი ლორენცო გესტრი სენიორ დერარის 14 თვით ვირის აბანოში გამომწყვდევას უპირებს, ერთი წლით სამწვრთნელო ლიცენზიის ჩამორთმევითაც ემუქრება და თან არც ფულადი ჯარიმა ავიწყდება.

სასამართლომდე კი საქმე იმიტომ მივიდა, რომ პატივცემული მწვრთნელი სპორტსმენების დოპინგით მომარაგებაში ამხილეს. გამოძიების ვერსიით, უნივერსიტეტის ყოფილი მკვლევარ ფერარის ბოლონიური ლაბორატორია ამარაგებდა აკრძალული პრეპარატებით.

თავად სენიორ მიკელე თვლის, რომ მას უბრალოდ, განტევების ვაცად ქცევა ემუქრება და მთელი ამ სპექტაკლის მიზანი ისაა, ველორბოლაში აგორებული დოპინგ-სკანდალები როგორმე მიჩქმალონ.

თუ სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა, მიკელეს კიდევ ორჯერ ექნება შანსი, აპელაცია შეიტანოს.

ჯერჯერობით გაურკვეველია, ფერარის „კლიენტთა“ სიაში ვინ შედიოდა. არც ისაა გამორიცხული, გამოძიებამ თავად ლენს არმსტრონგსაც მიმართოს რამდენიმე არცთუ სასიამოვნო კითხვით.

**ლადო ფულუკიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცრემლი




REUTERS ათენიდან

ათენის ინვალიდთა ოლიმპიადას გამარჯვებებთან ერთად ცრემლიც ახლავს. მწარედ ქვითინებს 14 წლის ავღანელი გოგო, მარიანა ქარიმი, რომელიც 100 მეტრზე ტ46 კატეგორიის მორბენალთა ფინალში ვერ გასულა.

# შემოვარდნა

ეს გადაღებაა, თორემ დრიუ ბერიმორს ბეისბოლის მინდორზე ფეხშიშველა შევარდნა სულც არ მოუნდებოდა. ახალ ფილმს „ციებცხელებიანი მინდორი" ჰქვია და მის სპორტულ ეპიზოდებს ბოსტონის „ფინვეი პარკზე" იღებენ.



# ნომადური ჯირითი

ეს თქარათქური და ამბავი მაროკოში, ქალაქ ტან-ტანის კიდეზეა ატეხილი. ნომადური ტომები უდაბნოდან მოდიან და ძველ, ტრადიციულ შეკრებას მართავენ, სადაც სიჩაუქეში ეჯიბრებიან ერთმანეთს. სიმართლე ითქვას და, ეს მაგარი სანახაობა ძველი თოფების სროლითა და ამბით ბოლო 30 წელიწადში პირველად ჩატარდა, რადგან იუნესკომ შესთხოვა მაროკოელებს, ეს დიდებული ტრადიცია არ დაკარგოთო.





# ჩემი ბიჭებო

დევიდ ბექჰემის ეს ბუცები მის ძველ მაისურასთან ერთად კრისტის აუქციონზე იყო გამოტანილი. ამათში საინტერესო ის არის, რომ ბექჰს არა მხოლოდ ზურგზე ამოუსვირინგებია თავისი ვაჟების, ბრუკლინისა და რომეოს სახელები, არამედ ბუცებზეც ამოუქარგვინებია „ადიდასისთვის".

REUTERS დელიდან



# განდი გოგი ჯორჯს

ინდოეთის პრეზიდენტი აბდულ ქალამი რაჯივ განდი ხელ რატნას ჯილდოს გადასცემს მძლეოსან ანჯუ ბობი ჯორჯს. ეს ჯილდო ძალიან გამორჩეულ სპორტსმენებს, ანდა სპორტულ მოღვაწეებს გადაეცემათ ხოლმე.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge